ს[illegible]ელოს
პ[illegible]ლამენტის
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 175 (721) ოთხშაბათი, 11 აგვისტო, 1993 წელი ფასი 35 კუპონი

ედუარდ შევარდნაძე:

ნამდვილმა, ჭეშმარიტმა ეროვნულმა დემოკრატიამ უნდა აიძულოს ანტიდემოკრატიული ძალები, რომ ანგარიში გაუწიონ იმას, რასაც სახელმწიფოს და საზოგადოების ინტერესები ჰქვია. ვფიქრობ, რომ საჭიროა რაღაც ახალი შემობრუნება, ახალი ეტაპი, თუნდაც დროებით.

პირველი სვეტი

ცნობები აფხაზეთიდან

როგორც აფხაზეთში განლაგებული საქართველოს შეიარაღებული ძალების პრესცენტრიდან გვაცნობეს, 9 აგვისტოს აფხაზეთის ფრონტებზე ძირითადად სიმშვიდე იყო შენარჩუნებული. მოწინააღმდეგის მხრიდან პერიოდულად ხორციელდებოდა სროლები ავტომატური იარაღით, [illegible].

ღამის 5 საათზე [illegible] და [illegible] მიდამოებში გამოჩნდა „სუ-27" ტიპის ორი სამხედრო თვითმფრინავი რუსული ამოსაცნობი ნიშნებით.

ამის შესახებ რუსმა სამხედროებმა განაცხადეს, რომ აღნიშნული თვითმფრინავები [illegible] გაფრინდნენ [illegible] და [illegible] სხვა [illegible] მათ არ ჰქონიათ.

[illegible].

გახურებული სეზონია, ფაბრიკები კი გაჩერებულია

უკანასკნელი დღეების განმავლობაში რამდენადმე შემცირდა [illegible] ჩაის ფოთლის კრეფაში. 9 აგვისტოსთვის, სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროს მონაცემებით, ჩაის ფოთლის კრეფამ 39 ათასი ტონა შეადგინა. სეზონის დაწყებიდან მოკრეფილია 85.386 ტონა ჩაის ფოთოლი. იგრძნობა მაზუთის უქმარისობა. ოზურგეთის, ზუგდიდის, წალენჯიხისა და ზოგიერთი სხვა რაიონის მრავალი ჩაის ფაბრიკა მაზუთის უქონლობის გამო გაჩერებულია.

ცხვარი დაიძრა

[illegible] ცხვრის გადმორეკვა ჩრდილოეთ კავკასიის ყიზლარის საზამთრო საძოვრებიდან. სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროს მონაცემებით, 150 ათასი სული ცხვრიდან ვაგონებით უკვე ჩამოყვანილია 98 ათასზე მეტი. ამავე დროს, შეშფოთებას იწვევს ცნობა ტვირთზიდვის ტარიფების გადიდების შესახებ. ჩრდილოეთ კავკასიის რკინიგზას უკვე გადაუხადეს 118 მილიონი მანეთი. ახლა კი, საბოლოო ანგარიშსწორებისთვის კიდევ, დამატებით საჭირო იქნება 44 მილიონი მანეთი.

ალოობა შეფერხებებით

კახეთის რეგიონებში ალოობა, მაგრამ მოსავლის აღება, სამწუხაროდ, უთავბოლოდ მიმდინარეობს. მაშინ, როცა ქვეყანას ძალზე უჭირს პური, ასეთი დამოკიდებულება უოვლად გაუმართლებელია. ისედაც სანახევროდ დაობილი, [illegible] ქერის დიდი ნაწილი შეტოვებულია მინდორს, აღებული ხორბალი აზერბაიჯანიდან შემოტანილ [illegible] იცვლება, ან კერძო პირების ხელში ხვდება, რაც საფრთხეს უქმნის სახელმწიფო გეგმის შესრულებას.

ვადებს თვით სკოლები განსაზღვრავენ

რესპუბლიკის განათლების სამინისტროს გადაწყვეტილებით, იმ მოსწავლეთათვის, რომლებმაც სხვადასხვა მიზეზით ვერ მიიღეს მონაწილეობა საგამოცდო სესიებში, მე-10 კლასში მისაღები დამატებითი გამოცდები აგვისტოში ჩატარდება.

გამოცდების ჩატარების ვადებს საშუალო სკოლები თვითონ განსაზღვრავენ.

ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის გაერთიანების მისია საქართველოში

„**საქართველოში** ჩვენი ყოფნის მიზანია [illegible] ცხინვალის [illegible] ქართველ-ოსთა კონფლიქტის ზონაში", — თქვა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მისიის მეთაურმა ალექსანდრე [illegible] საქინფორმის კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში. — ჩვეულებრივ, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირი [illegible] მისიას გზავნის, როცა უკვე დგება დაზავება, რათა აღარ დაუშვას კონფლიქტის გაღვივება, ხელი შეუწყოს მისი მაქსიმალური პოლიტიკური მოწესრიგების პირობებს. ასე იყო ამჯერადაც. შარშან ნოემბერში სოჭში ქართველებმა და ოსებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. მაშინვე ვენაში ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის შტაბ-ბინაში მიიღეს გადაწყვეტილება გამოეგზავნათ საქართველოში მისია 8 კაცის შემადგენლობით: 3 დიპლომატი და 5 სამხედრო პირი. ესენი არიან ამერიკელი დიპლომატი რიჩარდ ნორლანდი, შვედი დიპლომატი იან ლუნდბერგი, გერმანელი [illegible], ბრიტანელი მაიორი ტიმოთი ტოუნლი, უნგრელი მაიორი ლასლო გრენოვიჩი, ფრანგი კაპიტანი [illegible] ფერინესი, კაპიტანი ედუარდ ტეისტი და მე — უკრაინელი დიპლომატი ალექსანდრე [illegible].

რისთვის და რა მიზნით შეიქმნა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირი?

— ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირი წარმომადგენლობითი საერთაშორისო ფორუმია, რომელიც შეიქმნა 70-იან წლებში, აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის დაძაბულობის შენელების პერიოდში. იგი იმ საერთო გაგების შედეგია, რომ უნდა შემცირებულიყო გამწვავებული დაპირისპირება მაშინდელ ორ ბლოკს — ნატოსა და ვარშავის ხელშეკრულებას შორის. ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირში შედის 52 ქვეყანა და მას კონფლიქტების გადაწყვეტის მდიდარი გამოცდილება აქვს. თვით მისიის ყოფნა რეგიონში მშვიდობის გარანტი უნდა გახდეს, — ამბობს მისიის მეთაური.

ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის შტაბ-ბინაში დამაკმაყოფილებლად შეაფასეს საქართველოში მისიის მუშაობა და მანდატი, რომელსაც [illegible] ვადა, კიდევ 6 თვით გაუგრძელეს; რათა ახლა მისიამ მონაწილეობა მიიღოს აფხაზეთის კონფლიქტის გადაწყვეტაშიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან ერთად.

რა მუშაობა გასწია მისიამ სამხრეთ ოსეთში?

— ჩვენ ყოველ კვირაში ჩავდივართ ცხინვალში, — ჩვენს საუბარში [illegible] კაპიტანი [illegible] ფერინესი, — ვიყავით ყველა საკონტროლო-გამშვებ პუნქტში, ვეწვიეთ ყველაზე მიყრუებულ სოფლებს. ჩავატარეთ მოსახლეობისათვის ჰუმანიტარული დახმარება, რომელიც მივიღეთ თურქეთიდან და გერმანიიდან. ეს იყო მედიკამენტები, სურსათი, სათამაშოები ბავშვებისათვის. ჩვენ დეტალურად ვსწავლობთ ამ რეგიონში შექმნილ ვითარებას. გვაქვს საკმაოდ კარგი ურთიერთობა ოსურ მოსახლეობასთან. [illegible] ჩვენ [illegible] თბილისსა და ცხინვალს შორის. მაგალითად, ოსებმა ჩვენგან გაიგეს, რომ არსებობს საქართველოს მინისტრთა კაბინეტის დადგენილება (№ 335) რეგიონში მშვიდობის აღდგენის ღონისძიებათა შესახებ და სხვ. ვითარება ცხინვალში საკმაოდ რთულია: [illegible] არ მუშაობს წყალსადენი, რკინიგზა, არ მიმდინარეობს აღდგენითი სამუშაოები. მაგრამ ვიმედოვნებ, რომ სიტუაცია უკეთესობისაკენ უნდა შეიცვალოს.

„ის, რომ ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მისია საქართველოში იმყოფება, მოწმობს, რომ საერთაშორისო გაერთიანება გულისტკივილით აღიქვამს საქართველოს ყველა პრობლემას", — თქვა ამერიკელმა დიპლომატმა რიჩარდ ნორლანდმა. — ჩვენი ამოცანაა გავაგრძელოთ მოლაპარაკებები ორივე მხარის ხელმძღვანელობასთან. ვამზადებთ ნიადაგს საბოლოო მოლაპარაკებისათვის. ეს ჩვენი მისიის საბოლოო მიზანია. ჩვენ მსაჯულნი არა ვართ, არ ვწყვეტთ, ვინ მართალია, და ვინ დამნაშავე. მაგრამ ვცდილობთ შევქმნათ და განვამტკიცოთ დიალოგი.

იან ლუნდბერგი (შვეცია): „რეგიონში უკვე წელიწადზე მეტია არ ხდება საომარი შეტაკებები. ჩვენი აზრით, ცეცხლის [illegible] თავის პოზიტიურ როლს ასრულებს რუსეთის სამშვიდობო ძალების ბატალიონი. ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირი აპირებს გაეროსთან ერთად მოაწყოს საერთაშორისო [illegible] საქართველოში კონფლიქტების [illegible]. ვიმედოვნებთ, რომ სარგებლობას მოუტანთ თქვენს რესპუბლიკას".

ენდი ჭამიერაშვილი.

ფოტო სოხუმიდან



ლტოლვილები ბრუნდებიან

საქინფორმის ფოტოქრონიკა.

მიმართვა მსოფლიო გაერთიანებას აფხაზეთის მრავალეროვანი მოსახლეობისათვის ჰუმანური დახმარების გაწევის შესახებ

მალე ერთი წელიწადი შესრულდება, რაც გრძელდება შეიარაღებული კონფლიქტი აფხაზეთის ტერიტორიაზე, რომელსაც დიდი მსხვერპლი მოჰყვა. ათი ათასობით მშვიდობიანი მცხოვრები დარჩა უსახლკაროდ და საარსებო სახსრების გარეშე.

27 ივლისს ხელი მოაწერეს ნანატრ შეთანხმებას აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტისა და მისი დაცვისადმი კონტროლის მექანიზმის შესახებ. პირველად, მას შემდეგ, რაც იღვრება სისხლი ამ მრავალტანჯულ მიწაზე, დაისახა მშვიდობის დამყარების რეალური ნაბიჯები. იწყება შეიარაღებული ფორმირებებისა და მძიმე ტექნიკის გამოყვანა კონფლიქტის ზონიდან, დროებით საკონტროლო ჯგუფებში მუშაობისათვის ჩამოდიან საერთაშორისო მეთვალყურეები.

აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების გაერთიანებული კომისია მიმართავს თხოვნით მსოფლიო გაერთიანებას გაუწიონ ჰუმანური დახმარება კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ აფხაზეთის მრავალეროვან მოსახლეობას.

აფხაზეთის ხალხები ელიან თქვენს მხარდაჭერას!

ბიჭვინთაში დაიწყო აფხაზეთში ვითარების მოწესრიგების გაერთიანებული კომისიის მეოთხე სხდომა

ბიჭვინთა, 10 აგვისტო. (**იტარ-ტასის კორ. ირინა შიგალევა**). დღეს ბიჭვინთის პანსიონატში „მზის კორომში" დაიწყო აფხაზეთში ვითარების მოწესრიგების — გაერთიანებული კომისიის მორიგი, სათვალავით მეოთხე სხდომა. ეს სამმხრივი შეხვედრა, ბევრი მეთვალყურის აზრით, შეიძლება გადამწყვეტი გახდეს, რადგან აქ უნდა მიიღონ გადაწყვეტილებანი პრინციპულად მნიშვნელოვან სამხედრო საკითხებზე. გაერთიანებული კომისიის რუსეთის ნაწილის ხელმძღვანელმა, რუსეთის საგანგებო სიტუაციათა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ სერგი შოიგუმ საქართველოსა და აფხაზეთის მხარეთა სამხედრო ხელმძღვანელობის წარმომადგენლებს შესთავაზა მოეხსენებინათ, თუ როგორ სრულდება კონფლიქტის ზონის დემილიტარიზაციის გრაფიკი. ეს გრაფიკი შედგა 27 ივლისს, სოჭში ხელმოწერილი ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების შესაბამისად და ითვალისწინებდა ცეცხლის შეწყვეტის მომენტიდან 10-15 დღის მანძილზე ყველა შეიარაღებული ფორმირების დაშლასა და აფხაზეთის ტერიტორიიდან გაყვანას. დღევანდელი შეხვედრის დამთავრების შემდეგ ნათელი იქნება, აპირებენ თუ არა მხარეები შეასრულონ ხელმოწერილი შეთანხმება.

დღესვე აპირებენ განიხილონ საკითხი აფხაზეთის მხარის კონტროლს დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ქართული მოსახლეობის მდგომარეობის შესახებ. მოისმენენ გაერთიანებული კომისიის სამუშაო ჯგუფის გაგრაში გუშინდელი მოგზაურობის ანგარიშს. ჯგუფი ამ პრობლემას სწავლობდა. მისმა წევრებმა აღნიშნეს, რომ საქართველოს მოსახლეობის ნაწილი შურისძიების შიშით იძულებული გახდა დაეტოვებინა თავისი მუდმივი ცხოვრების ადგილები. გაერთიანებული კომისიის ოპერატიული შტაბის უფროსის გენერალ-მაიორ სერგი კუდინოვის აზრით, ადამიანის უფლებათა დარღვევის შემთხვევებმა შეიძლება გაართულოს ვითარება აფხაზეთში.

მოგიწოდებთ, რომ შემოგვიერთდეთ!

სატელევიზიო განცხადება სახალხო მოძრაობა — „დემოკრატიული საქართველოს" სახელით

კვირას, 8-9 აგვისტოს საქართველოს ტელევიზიის პირველი პროგრამით და „იბერვიზიით" გამოვიდა საქართველოს პარლამენტის წევრი ვალერი კვარაცხელია, რომელმაც საზოგადოებრიობას ამცნო, რომ დაფუძნდა ახალი სახალხო მოძრაობა — „დემოკრატიული საქართველო".

გთავაზობთ ამ გამოსვლის ტექსტს.

მაქვს დავალება და მაქვს პატივი, თქვენს წინაშე განვაცხადო შემდეგი:

ვფიქრობთ, მოსახლეობას კარგად აქვს გაცნობიერებული თუ რა დიდი განსაცდელის წინაშე დგას დღეს საქართველო. საზოგადოება [illegible] ძალისხმევა და რა ხიფათ[illegible] მწიფოს მეთაურს, მიმართ[illegible] ლის გზაზე დამდგარ ქვეყ[illegible] ენციის საზოგადოების ს[illegible] ვი დეგრადაციის და გახრწ[illegible] ნიშანი დამნაშავეთა ს[illegible] სამყაროს აღზევების [illegible] ორგანიზებული, სტრუქტურებიანი, [illegible] დანაშაული, ანუ როგორც მას უწოდებენ მაფია. სამწუხაროდ, ჩვენ ეს ყველაფერი გვაქვს და ჩვენი ღრმა რწმენით საზოგადოებას [illegible] შიმშილი და სილატაკე ისე ძლიერ არ აწუხებს, როგორც დამნაშავეთა ეს ორგანიზებული ცინიზმი და საზოგადოების ეს უნამუსო გამოწვევა. ამას ემატება ისიც, რომ [illegible] ვითარებას და სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემათა მთელ ჯაჭვს, რომლის წინაშეც ჩვენი ქვეყანა და მოსახლეობა აღმოჩნდა, თავის სასარგებლოდ იყენებენ [illegible] მომხრეები და ცეცხლზე ნავთს ასხამენ, რომ რევანშისტული სურვილის დაკმაყოფილების მცირედი შანსი ხელიდან არ გაუშვან. არადა, საქართველო ხედავს, რომ დეკემბერ-იანვრის ტრაგედიის გმირები — ვერც გაძევებულნი და ვერც გამძევებელნი, საქართველოს ხელმძღვანელებად ვერ გამოდგებიან. ისინი კი, ვინც სახელმწიფოს მეთაურის გადადგომას ითხოვენ, ნებსით თუ უნებლიეთ, ქვეყანას ან ერთი ან მეორე მხარის ხელში ტოვებენ, რაც საბოლოო ანგარიშით აბსოლუტურად ერთი და იგივეა.

აი, ამ სირთულის გათვალისწინებით შეიქმნა საინიციატივო ჯგუფი, რომელმაც დააფუძნა სახალხო მოძრაობა — „დემოკრატიული საქართველო", რომელიც მოწადინებულია და მზად არის მხარი დაუჭიროს სახელმწიფოს მეთაურს ქვეყნის საგანგებო რეჟიმში გადაყვანის საქმეში, რათა მისი ხელმძღვანელობით, მის გვერდით და მასთან ერთად იბრძოლოს წესრიგის დასაცავად...

[illegible] კანონგარეშეობაში გარკვეული ძალები სპეკულაციას [illegible] ეროვნული მოძრაობის სახელით და ამ მოძრაობის [illegible] აცხადებდა. ჩვენ უნდა მოვშალოთ [illegible] ავტორიტეტი. ეროვნული მოძრაობა ეს თქვენა ხართ, თქვენ — ვისაც ახლა მოგმართავთ, — ბატონებო მშრომელებო, გლეხებო, მუშებო, ინჟინრებო, მწერლებო, ჟურნალისტებო, მსახიობებო, მთელო ინტელიგენცია, ერთი სიტყვით, ის ხალხი, ვისაც დანაშაული არასოდეს ჩაუდენია, კეთილსინდისიერად გილვაწიათ და კაცურად გიცხოვრიათ. არავის არა აქვს უფლება, რომ თქვენი სახელით თავისი პატივმოყვარე[illegible] დაიკმაყოფილოს. თუ ჩვენ გავერთიანდებით [illegible] რომ ვამბობთ, მხედველობაში [illegible] ბატონებო, მშრომელი ხალხი, თორემ სხვ[illegible] როგორც ჩანს, ჯერჯერობით შეუძლ[illegible] ამ მაფიებსაც: შეიარაღებულ ფორმირებებსაც, ცალკეულ ბანდიტებსაც, ტერორისტებსა და დივერსანტებსაც, ხალხს რომ სიცოცხლეს უმწარებენ. ჩვენ განვაიარაღებთ მათ, ვინაიდან ხალხის რისხვაზე დიდი იარაღი არ არსებობს. თუ გავერთიანდებით, ჩვენ დავძლევთ ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემებსაც, დავიცავთ საქართველოს [illegible] და თავს დავაღწევთ ანარქიასაც. [illegible] ერთი გარანტი ისიც არის, რომ ჩვენს [illegible] სახელმწიფოს სათავეში დგას [illegible] და აგენტებს [illegible] მთელი ქვეყანა [illegible] კაცი, რომელიც ყველა პასუხისმგებლობას საკუთარ [illegible] იღებს.

თუმცა ერთი რამეც უნდა ითქვას: სახალხო მოძრაობა — „დემოკრატიული საქართველოს" დამფუძნებელი საინიციატივო ჯგუფი, ვუცხადებთ რა [illegible] სახელმწიფოს მეთაურს, ამასთანავე [illegible] შინაპოლიტიკის [illegible] ვითხოვთ მისგან უფრო რადიკალურ [illegible] შეუპოვარ ბრძოლას საქართველოში წესრიგისა და კანონიერების აღსადგენად და დასაცავად. ამ ბრძოლაში ჩვენ მის გვერდით ვდგავართ და თქვენც, მიუხედავად თქვენი ეროვნული და რელიგიური კუთვნილებისა, მოგიწოდებთ, რომ შემოგვიერთდეთ.

ჩვენი დროებითი მისამართია: თბილისი, ქ. წამებულის 25. დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი.

ჩვენი ქვეყნის ხსნა ჩვენს ხელთაა.

ვალერი კვარაცხელია,

საქართველოს პარლამენტის წევრი, სახალხო მოძრაობა — „დემოკრატიული საქართველოს" საინიციატივო ჯგუფის წევრი.

1993 წლის 8 აგვისტო.

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკის" და საქინფორმის კორესპონდენტები

[illegible]
მოვლ[illegible]
კომე[illegible]

ნომერში

• ასე ცხოვრება აღარ შეიძლება! 2
• რატომ არის აუცილებელი სახელმწიფო საიდუმლოებათა დაცვა? 4

ედუარდ შევარდნაძე უცხადებს სამძიმარს

ამერიკელი დიპლომატის ტრაგიკულ დაღუპვასთან დაკავშირებით საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს შეხვდა საქინფორმის კორესპონდენტი.

— იმან, რაც წუხელ თბილისთან ახლოს, ნატახტართან მოხდა, ულრმესად დამამწუხრა, — თქვა ედუარდ შევარდნაძემ. — როგორც წინასწარი ცნობებიდან ჩანს, უაზრო შემთხვევითობამ ტრაგიკულად იმსხვერპლა ჩვენი მეგობარი, ამერიკელი ხალხის შესანიშნავი წარმომადგენელი, რის გამოც მინდა დიდი გულისტკივილი და სამძიმარი გამოვუცხადო [illegible].

ბატონ ფრედ ვუდრუფს იმ ხანმოკლე დროის მანძილზე, რაც იგი საქართველოში მოღვაწეობდა, გულთან ახლოს მიჰქონდა ყველა ჩვენი საწუხარი, ცხოვრობდა საქართველოს ინტერესებით.

მისი გამგზავრებაც დაბა ყაზბეგში ექსკურსიაზე ქართული კულტურის, ისტორიის ახლოს გაცნობას ისახავდა მიზნად.

კიდევ ერთხელ ვუცხადებ გულწრფელ სამძიმარს მის ოჯახს, ახლობლებს.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ 10 აგვისტოს სამძიმრის ბარათი გაუგზავნა საქართველოში ამერიკის საელჩოს პოლიტიკური განყოფილების თანამშრომლის ფრედ ვუდრუფის ოჯახს, რომელშიც ნათქვამია:

ძვირფასო ქალბატონო ვუდრუფ,

ასეთი მწუხარების დროს ძნელია სანუგეშო სიტყვები მოძებნო და ადამიანს ტანჯვა შეუმსუბუქო.

მე მაინც გადავწყვიტე, ჩემო ძვირფასებო, ეს პატარა ბარათი გამოგიგზავნოთ, და ჩემი ხალხის სახელით სამძიმარი გამოვთქვა ფრედის უდროოდ და ტრაგიკულად დაღუპვის გამო.

დარწმუნებული ვარ ეს ბრმა შემთხვევაა. ფრედი ჩამოვიდა საქართველოში, როგორც ჩემი ქვეყნის მეგობარი და ასეთად დარჩება მარად ქართველთა ხსოვნაში.

ღრმა პატივისცემით და თანაგრძნობით

ედუარდ შევარდნაძე.

ამერიკელი დიპლომატის ცხედარი შტატებში გადაასვენეს

10 აგვისტოს დილით თბილისის აეროპორტში თავი მოიყარეს აშშ-ს საელჩოს თანამშრომლებმა საქართველოში აშშ-ის [illegible] და საგანგებო ელჩის კენტ ბრაუნის ხელმძღვანელობით. ისინი [illegible] თავიანთ კოლეგას, საელჩოს პოლიტიკური განყოფილების თანამშრომლის ფრედ ვუდრუფის ცხედრის სამშობლოში გასაცილებლად. როგორც ცნობილია, ფ. ვუდრუფი უაზრო, ტრაგიკულმა შემთხვევამ იმსხვერპლა 8 აგვისტოს სოფელ ნატახტართან.

ამერიკელი დიპლომატის ხსოვნის პატივსაცემად თბილისის აეროპორტში მოვიდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე. იგი შეხვდა საელჩოს თანამშრომლებს და კიდევ ერთხელ გამოხატა თავისი ღრმა მწუხარება და დიდი გულისტკივილი მომხდარის გამო.

— არ მინდა დავიჯერო, — თქვა ედუარდ შევარდნაძემ, — [illegible] ჩვენს ქვეყანაში არის თუნდაც ერთი კაცი, რომელიც თქვენს [illegible] კოლეგაზე აღმართავდა ხელს. დიდად სამწუხაროა, რომ [illegible] შემთხვევითობამ იმსხვერპლა ჩვენთან სამეგობროდ და [illegible] ჩამოსული ადამიანი.

ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა [illegible] ლმწიფოს მეთაურს იმ ყურადღებისა და [illegible] ხარო ფაქტთან დაკავშირებით რომ გამოავლინა [illegible] კული მხრივ. საერთოდ ამერიკელი ხალხის [illegible] ადმინისტრაციის სახელით მან აღუთქვა ედუარდ შევარდნაძეს [illegible] ურთიერთობა ჩვენს ორ ქვეყანას შორის კვლავინდებურად [illegible] და ახლობლური დარჩება.

თბილისის აეროპორტის [illegible] სპეციალური დანიშნულების თვითმფრინავი ამერიკის შეერთებული შტატებიდან ამერიკელი დიპლომატის ფ. ვუდრუფის ცხედრის სამშობლოში გადასასვენებლად. მგლოვიარე ქვეყნის მცირე დელეგაციას ხელმძღვანელობდა აშშ-ს ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს დირექტორი **ჯეიმზ ვულზი**.

ედუარდ შევარდნაძემ და ჯეიმზ ვულზიმ, აშშ-ს საელჩოს თანამშრომლებმა უკანასკნელი პატივი მიაგეს უაზრო შემთხვევისაგან დაღუპული კოლეგის ხსოვნას.

შემდეგ საქართველოს სახელმწიფოს მეთაურსა და აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს დირექტორს შორის გაიმართა ხანგრძლივი საუბარი, რომლის დროს ორივე მხარემ გამოთქვა ღრმა სინანული მომხდარის გამო.

— რაც მოხდა, საშინელი ტრაგედიაა, — თქვა ჯეიმზ ვულზიმ, — მაგრამ ეს ოდნავადაც არ მიაყენებს ჩრდილს ჩვენი ქვეყნების ურთიერთობას. პრეზიდენტმა კლინტონმა დამავალა კიდევ ერთხელ გადმოგცეთ, რომ იგი [illegible] პატივს გცემთ პირადად თქვენ და თავს [illegible] იმისათვის, რასაც დღეს აკეთებთ აქ, საქართველოში.

[illegible] დანიშნულების თვითმფრინავი სამშობლოში [illegible].

ცვლილება კანონში

„საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე 1961-1992 წლების ნიმუშის საბჭოთა და რუსული მანეთის ფულის ნიშნების მიმოქცევიდან ამოღების შესახებ" — საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 24 ივლისის 576 დადგენილებაში დამატების შეტანის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ადგენს:

„საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე 1961-1992 წლების ნიმუშის საბჭოთა და რუსული მანეთის ფულის ნიშნების მიმოქცევიდან ამოღების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 24 ივლისის 576 დადგენილებას დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-6 პუნქტი:

„6. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო და სახელმწიფო-კომერციულმა ბანკებმა 1993 წლის 4 აგვისტოდან 1961-1992 წლების ნიმუშის საბჭოთა და რუსული მანეთების შესყიდვა აწარმოონ თავისუფალი კურსით საკუთარი კომერციული რისკით".

დადგენილების მე-6 და მე-7 პუნქტები შესაბამისად ჩაითვალოს მე-7 და მე-8 პუნქტებად.

ᲡᲐᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲝ ᲤᲝᲡᲢᲘᲓᲐᲜ

ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲒᲐᲕᲔᲠᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲡ ᲕᲔᲫᲔᲑᲗ, ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲡ ᲙᲘ — ᲐᲠᲐ!

რამდენჯერ მიფიქრია, როდესაც ტელევიზიით ჩემი თანამემამულეების უკმაყოფილო გამოსვლებისათვის მომისმენია, ნეტავ ჩემთვის ეკითხათ, რამდენ რამეს ვიტყოდი-მეთქი.

ახლა, როდესაც საშუალება მომეცა ჩემი აზრის და გულისტკივილის გამოთქმისა, შევეცდები.

შემიძლია კი, რაიმე სწორი, საქმიანი და აუცილებელი, ჩვენი გავერანებული ქვეყნის საშველი სიტყვა ვთქვა; არადა, გაზეთსაც პურის რიგში ხომ არ დავამსგავსებთ, სადაც ყველა თავის მოსაზრებას უდარდელად ამბობს, პასუხისმგებლობის შიშის გარეშე. სათქმელი ბევრია.

მოსაგვარებელი — უფრო მეტი, საშველი კი არ ჩანს.

ქართველობა ადამიანური ყალიბიდან ამოცვენილ ბრბოს ემსგავსება ობიექტური, თუ სუბიექტური მიზეზების გამო. გზარავს, როდესაც გაიგებ, რომ შენი, ერთ დროს საყვარელი ქალაქის შენთვის ესოდენ ახლობელი მოქალაქეები მეოცე საუკუნის ბოლოს ლინჩის წესით ასამართლებენ დამნაშავეს. — თუნდაც დამნაშავეს. კაცის კვლა ხომ ადვილზე უფრო ადვილი გახდა.

ჩვენ, ქართველობას, პრეტენზია გვაქვს ევროპელობაზე, რადგან აზიის და ევროპის შესაყარზე ვიმყოფებით, ჩვენ კი, მგონი, აზიური თავშეკავებულობა და თავდაჭერილობაც დავკარგეთ.

სულ სხვისგან ვითხოვთ, ჩვენი თავის მიმართ კი ლოიალურნი ვხდებით. ქვეყნის გავერანების მიზეზს ვეძებთ, გამოსავალს კი არა.

გაცნობიერებული გვაქვს კი თუნდაც უმცირესობას (რომ არაფერი ვთქვათ უმრავლესობაზე) რას მოითხოვს ჩვენგან ტერმინი: „დემოკრატიული აღმშენებლობის გზაზე დამდგარი ქვეყანა".

ჩემი, უბრალო მოქალაქის აზრით, გონიერი კანონების არსებობას და ამ კანონების განუხრელად შესრულებას, საზოგადოების თითოეული წევრისაგან თავისი უფლება-მოვალეობის დაცვას. უფლება-მოვალეობა უნდა გააჩნდეს როგორც მიწის მუშას, ისე სახელმწიფოს მმართველს, და ეს მოვალეობა ზუსტად უნდა სრულდებოდეს თავისი უფლებების დაცვით.

კანონი უნდა კანონობდეს, და ვინც თავის უფლება-მოვალეობას უგულვებელყოფს, კანონის წინაშე უნდა აგებდეს პასუხს, მკაცრად და გამონაკლისების გარეშე.

ენდი თუმანიშვილი,
თსუ ფიზიკის ფაკულტეტის უფროსი ინჟინერი.

●

ᲙᲐᲪᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲔᲨᲘᲜᲝᲓᲔᲡ

დღეს წესრიგი ჰაერივით სჭირდება ქვეყანას, სხვაგვარად წარმოუდგენელია ცხოვრება. სახელმწიფო, რომელიც თავის თავს პატივსა სცემს, იარაღიან ხალხს ქუჩაში თავის ნებაზე არ უნდა ასეირნებდეს. ისტორიული გამოცდილებიდანაც ვერაფერი ვისწავლეთ. დავით გურამიშვილი გავიხსენოთ, ამ ორი საუკუნის წინ რომ ამბობდა: „შეიქმნა დიდი მტერობა.., გზაზედ დახვედრა გზირისა". იგივე ვითარებაა დღესაც. მხოლოდ იმ განსხვავებით, მაშინ ხმლიან-დამბაჩიანი მძარცველები ურმიან მგზავრს ესხმოდნენ თავს, დღეს კი ავტომატ-ტყვიამფრქვევიანი ყაჩაღები მატარებლებს, გემებს, თვითმფრინავებსა და ავტომობილებს ძარცვავენ.

დღეს საქართველოში თითქმის ყველა საწარმო გაჩერებულია, არ იქმნება პროდუქცია, რით უნდა იარსებოს ქვეყანამ? საიდან უნდა შეივსოს ბიუჯეტი? ჩვენი საწარმო, — მაგალითად, 80-85 პროცენტითაა დატვირთული. ჭაპნით გაგვაქვს თავი. პარტნიორებთან, — ვისთანაც ადრე ნედლეულს ვყიდულობდით და ვისი მეშვეობითაც პროდუქციას ვასაღებდით — კავშირები გაწყვეტილია, ყოფილი კავშირის ქვეყნებში გადარიცხვებს ვერ ვახდენთ, ვერაფერი შემოგვაქვს. ახლა დროს, თუ მოვახერხეთ, და ვინმესთან კავშირი დავამყარეთ, ფული ვიშოვეთ, გვეუბნებიან — თქვენთან ომია, გარანტია არ გვაქვს რომ სარკინიგზო შემადგენლობა თქვენამდე მოაღწევსო და უმეტეს შემთხვევაში ნედლეულს აღარ გვიგზავნიან (ძირითადად ამ ნედლეულით ვმუშაობთ). ფერადი ლითონების, ნავთობპროდუქტების შემოტანა ხომ თითქმის შეუძლებელია, იძარცვება ყველაფერი. ადამიანმა შეიძლება აიტანოს შიმშილი, გაუძლოს გასაჭირს, მაგრამ უწესრიგობას ვერ აიტანს. ამის თაობაზე ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს, მუშაობის საშუალებას რომ არ მოგცემენ განა ეს ნორმალურია?.. სახელმწიფოს უპირველესი მიზანი წესრიგის დამყარებაა და, თუ ამასაც ვერ შეძლებს, მაშ მეტი რა დანიშნულება აქვს მას?

ზურაბ ბზიროშვილი,
გაერთიანება ელექტროაპარატის გენერალური დირექტორი.

●

ᲬᲔᲡᲠᲘᲒᲘ ᲣᲞᲘᲠᲕᲔᲚᲔᲡᲘᲐ!

სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ პარლამენტის სხდომაზე დაახლოებით ამგვარი აზრი განავითარა — იქნებ საგანგებო სამუშაო რეჟიმი შემოვიღოთ რესპუბლიკაში. მართალი რომ გითხრათ, ეს რეჟიმი კარგა ხანია რაც შემოსაღებია, სხვანაირად არა მგონია საქმეს ეშველოს, რომ იტყვიან, ქვეყანაში ყველა ჭანჭიკი მოიშალა და უფსკრულისაკენ მივექანებით. ასეთი ქაოსი, ახლა რომ მეფობს რესპუბლიკაში, ყოვლად წარმოუდგენელია. შიშით ქუჩაში ველარ გაგვივლია, სამსახურში ვერ მივსულვართ, ყოველ ნაბიჯზე ცუდს მოველით, ვის სჭირდება ყოველივე ეს? ალბათ იმ დესტრუქციულ ძალებს, რომლებიც არეულობის ჟამს განუკითხავად მოქმედებენ და ჯიბეს ისქელებენ. მერედა ვის ხარჯზე? ისევ და ისევ უბრალო ადამიანების აწიოკებითა და გლეჯვით.

ვის უნახავს ამდენი გაჩერებული ქარხანა თუ ფაბრიკა, ყველაფერი აირია, ნედლეულიც ქრის, მასალებიც, აღარც ეკონომიკური კავშირები ხერხდება და აღარც საბანკო ოპერაციები, ამიტომ არის ქვეყანა შიმშილმა და სილატაკემ რომ მოიცვა. თუ საგანგებო რეჟიმი არ შემოვიღეთ და დისციპლინამ არ აჯობა ანარქიას — დავიხოცებით, სულიერად გავნადგურდებით.

თენგიზ ლომიძე,
თბილისის რბილი ავეჯის კომბინატის მოდელიორი.

ᲐᲡᲔ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲐᲦᲐᲠ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ!

●

ᲡᲮᲕᲐ ᲒᲖᲐ ᲐᲦᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ!

აბა, ვის უნდა საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება ან მუშაობის განსაკუთრებული რეჟიმის შემოღება, მაგრამ, როგორც ჩანს, სხვა გამოსავალი აღარ არის.

პირველ ყოვლისა უნდა დამყარდეს წესრიგი, აილაგმოს მაფიოზური და ყაჩაღური ხროვები, რომელთა ხელშიც აღმოჩნდა არა მარტო ეკონომიკის, ვაჭრობის წარმართვის ბერკეტები, არამედ თვით ადამიანთა არსებობის, ყოფნა-არყოფნის სადავეები.

მერედა, ვით მიგვაქანებენ ისინი? წლევანდელ 6 თვეში აღრიცხულია 10.204 სისხლის სამართლის დანაშაული, აქედან 4.114 მძიმე კატეგორიისაა. აქ მატებაა 204 ერთეული. დაკავებულია ბოროტმოქმედთა 1030 ჯგუფი 2.800 კაცის შემადგენლობით.

დამნაშავეებს ჩამოერთვათ არა მარტო ავტომატები და პისტოლეტები, არამედ.., ქვემეხები, ტყვიამფრქვევები, ყუმბარმტყორცნები...

თუ დროზე არ განვახორციელეთ რადიკალური ღონისძიებები, მთელი საქართველო ავაზაკთა მძევალი გახდება, სწორედ ამაზე მეტყველებს 481 განზრახ მკვლელობა.

რაღას ვუცდით? ხომ ხედავს ყველა, რომ ასე ცხოვრება აღარ შეიძლება? ვიმოქმედოთ, ვიდრე იმედის ნაპერწკალი საერთოდ არ ჩამქრალა.

გიორგი სვანიძე,
გამომცემლობა „ფოლიანტის" უფროსი რედაქტორი.

●

ᲗᲣ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲛ ᲓᲐ ᲞᲘᲠᲐᲓᲐᲓ ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲜᲐᲫᲔᲛ ᲮᲐᲚᲮᲡ ᲐᲠ ᲛᲘᲮᲔᲓᲔᲡ, ᲗᲣ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲜᲐᲫᲘᲠᲐᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲣᲡᲯᲔᲚᲐᲓ ᲘᲞᲐᲠᲞᲐᲨᲔᲑᲔᲜ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲓᲐᲘᲦᲣᲞᲔᲑᲐ!

ᲡᲐᲮᲔᲚᲓᲐᲮᲔᲚᲝ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲥᲣᲩᲔᲑᲨᲘ,

არჩილ ჭელიძე, აგრონომი:

მდგომარეობა ურთულესია, მაგრამ ეს არც არის გასაკვირი. იმპერია დაინგრა და ჩვენ მის ნანგრევებში მოვყევით. თუ თავისუფლება გვინდა, უნდა მოვითმინოთ. უნდა მოვითმინოთ სიცივეც, შიმშილიც, მაგრამ — არა ყაჩაღობა, ადამიანის ღირსების ხელყოფა, რომელ თავისუფლებაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა შენ თვითონ თავისუფალი არ ხარ და ყველაფრის გეშინია: ლიფტში დამწყვდეული კაცის, სამხედრო ფორმიანი ბიჭის, ღამე კარზე დაკაკუნების.

ყველა, ჩინოსანი თუ უჩინო, ერთიანად უნდა შევებრძოლოთ ძალმომრეობას, მივეხმაროთ სამართალდამცავი ორგანოების მუშაკებს წესრიგის დამყარებაში. ხელისუფლებაც უნდა გამკაცრდეს. კანონი უნდა კანონობდეს. სხვა გამოსავალს მე ვერ ვხედავ.

ვაჟა დათუაშვილი, ეკონომისტი:

საქართველო ილუპება: ამდენი მძარცველი, შარაგზის ყაჩაღი, დივერსანტი, თავზეხელაღებული, არა მგონია, რომელიმე ქვეყანაში იყოს... რად ვეფერებით ამ გადაგვარებულ ხალხს? რაო, დემოკრატები ვართო? ჩვენზე ნაკლები დემოკრატები არიან ამერიკაში, ერთ ღამეში ორიათას ხულიგანს და ბოროტმოქმედს, ამფეთქებელს და დამანგრეველს ციხეში რომ უკრეს თავი?

მე შევარდნაძის დიდი იმედი მქონდა. სულ ვფიქრობდი, აი, ახლა გამოიღებს ხელს, აი, ახლა დაიწყებს წესრიგის დამყარებას მეთქი, მაგრამ სანუგეშოს ჯერჯერობით ვერაფერს ვხედავ. მე ის ძველი შევარდნაძე მერჩივნა, ყაჩაღებს და ხაზინის ქურდებს თავზარს რომ სცემდა. თუმცა მაშინ სად იყო ამდენი ყაჩაღი და ქურდი! მაშინდელი ქვეყანა ისე განსხვავდება დღევანდელისგან, როგორც კეთილშობილ ქალთა გიმნაზია ქალთა კოლონიისაგან.

ნელი კიკილია, პედაგოგი:

ზოგჯერ ვფიქრობ, ქურდის და ავაზაკის მომრევი აღარავინაა-მეთქი. ხუთიოდე წელია, პატარა ოროთახიანი სახლი ავაშენეთ (კოლექტიური მებაღეობის პროექტით) მცხეთის რაიონში. რაც ძველმანი გვქონდა, იმ სახლში გადავზიდეთ. ჯერ თბილისის ბინაში რა მედგა, ახლა იქ რა უნდა მქონოდა. ჰოდა, ეს სახლი შვიდჯერ გაგვიტეხეს ქურდებმა. ბოლოს წასაღები რომ აღარაფერი დარჩათ, წყლის მილებს ვენტილები დააძვრეს.. ამ ზაფხულს შვილიშვილები აგარაკზე ველარ წავიყვანე: აღარც ლოგინი მაქვს, აღარც ჯამ-ჭურჭელი... ერთი კვირის წინ ჩავაკითხე და ვნახე, რომ ახლა ფანჯრის დარაბებიც ჩამოუხსნიათ და წაუღიათ. მალე ალბათ ბლოკებსაც გაზიდავენ თითო-თითოდ. გთხოვთ გამაგებინოთ: გვყავს მთავრობა და ხელისუფლება თუ არა გვყავს? შეუძლიათ კანონის დაცვა თუ არ შეუძლიათ? თუ არ შეუძლიათ, რას გვაწვალებენ ჩვენც და რად წვალობენ თვითონ?

სერგო იაკობაშვილი, მძღოლი:

რაც დღეს გვჭირს, ამას ჰქვია ანარქია. დაიჭირენ მძარცველს, ამფეთქებელს, მკვლელს და გაუშვებენ. ეგენი ელოდებიათ გაუბედურებული ხალხი კი — არა. ხალხს უკვე სიმწრით ეცინება, ტელევიზიით რომ გამოაცხადებენ — მიმდინარეობს გამოძიებაო. ამდენი ელექტროგადამცემი ხაზი რომ აფეთქდა და ფეთქდება, 12 მილიარდის ქონება რომ გაიძარცვა რკინიგზაზე, დივერსიულ აქტებს ამდენი ადამიანი, მათ შორის — ბავშვიც! — რომ შეეწირა, დაისაჯა ვინმე? ამიტომაა, რომ ხალხი უკვე თვითონ უსწორდება არაკაცებს ჩაქოლვით.

თუ ხელისუფლებამ და პირადად შევარდნაძემ ხალხს არ მიხედა, თუ მკვლელები და ნაძირალები დაუსჯელად იპარპაშებენ, საქართველო დაიღუპება.

●

ᲒᲐᲛᲝᲫᲐᲮᲘᲚᲘ

ᲠᲐᲢᲝᲛ ᲒᲐᲓᲐᲓᲒᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲙᲐᲑᲘᲜᲔᲢᲘ?

საქართველოს პარლამენტის ექვსი აგვისტოს დადგენილება რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის გადადგომის შესახებ ერთობ ორჭოფულ და გაუგებარ „ღონისძიებად" მიმაჩნია.

რა არის ამის მიზეზი? რა ბრალი ედება და რა ვერ შეასრულა მინისტრთა კაბინეტმა? თუ მხოლოდ ის, რომ, როგორც საგანგებო სესიაზე გაისმა, მის მიერ განსახილველად და დასამტკიცებლად წარდგენილ სახელმწიფო ბიუჯეტს „სოციალისტური" ელფერი „დაჰკრავს", მაშინ მით უფრო საჭირო იყო თავად პარლამენტს საქმიანად ემსჯელა და სათანადო დასკვნა გამოეტანა. ეს ხომ მისი პრეროგატივაა. არადა, ჩვენნაირ ქვეყანაში, სადაც ჯერ კიდევ გაურკვეველია ე. წ. გარდამავალი პერიოდის არსი და, აქედან გამომდინარე, მისი სოციალურ-ეკონომიკური აღმშენებლობის მიმართულებები, ის, თუ საით მივდივართ, სხვანაირი ბიუჯეტი ვერ შემუშავდება.

სიტყვამ მოიტანა, და ბარემ იმასაც ვიტყვით, რომ, სამწუხაროდ, ბოლო ხანებში, ბევრმა ჩვენმა თანამემამულემ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის საბაბით თითქმის მთლიანად უგულებელყო მოქმედი ობიექტური ეკონომიკური კანონების არსებობა და ხასიათი. მეტიც, ზოგიერთმა ვაირეფორმატორმა კალაპოტი შეუცვალა ისტორიულ მეცნიერებას — პოლიტიკურ ეკონომიას და მის ნაცვლად „თავს მოგვახვია" ე. წ. „ეკონომიკს"-ი, რომელსაც არავითარი თეორიული საფუძველი არ გააჩნია და მხოლოდ და მხოლოდ „ფულის კეთების" მეშჩანურ იდეალებზეა აგებული (ეს საკითხი ცალკე მსჯელობის საგანია).

აქედან გამომდინარე, სამწუხაროდ, ჩვენში მიმდინარე გარდაქმნების საკანონმდებლო დოკუმენტებში, კონცეფციებსა და პროგრამებში, ისევე, როგორც მთავრობის დონეზე გაკეთებულ მოხსენებებში, ნახსენებიც კი არ არის, მაგალითად, ისეთი დიდი მნიშვნელობის მარეგულირებელი ეკონომიკური კანონი, როგორიცაა საწარმოო ძალთა ხასიათისადმი წარმოებით ურთიერთობათა შესაბამისობის კანონი. მისი მოთხოვნების გარეშე ჩვენი ღრმა რწმენით, ვერა და ვერ გავარკვევთ ჩვენი განვითარების მაგისტრალურ გზებს, არსებულ შესაძლებლობებსა და სინამდვილის შორის კავშირურთიერთობებს.

ჩემი აზრით, სწორედ ეს არის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი იმისა, რომ, როგორც ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ თქვა, საგანგებო სესიაზე, ჩვენმა სახელმწიფომ დაკარგა კონტროლი დარგებისა და კომპლექსების ფუნქციონირების მიმართ. დაიწყო კვლავწარმოების ფინანსური და ნივთობრივი პროპორციულობის დისბალანსირების პროცესი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აღნიშნული კანონის მოთხოვნათა გაუთვალისწინებლად ვერც იმას გავიგებთ, თუ ბოლოს და ბოლოს, საით მივდივართ, როგორ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ წყობილებას (ფორმაციას) ვაშენებთ.

და ერთიც. ჩემთვის, როგორც მოქალაქისათვის მეტად სასიამოვნო იყო პარლამენტის საგანგებო სხდომის მაღალი ტრიბუნიდან მომესმინა ბატონ ედუარდ შევარდნაძის მიერ გამოთქმული მოსაზრება და დასკვნა იმასთან დაკავშირებით, რომ ყველაზე განვითარებულ და ცივილიზებულ ქვეყნებში, მათ შორის აშშ-ში, დიდ ბრიტანეთში და სხვაგან, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მხრივ დიდ წარმატებებს აღწევენ სწორედ სახელმწიფო საკუთრების თანმიმდევრული გაფართოებისა და განმტკიცების შედეგად.

დიახაც, რომ ასეა. ახლა აქ წარმოების ძირითადი საშუალებების, მათ შორის, მიწის განსახელმწიფოებრიობას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, ჩვენში კი, როგორც ყველა ვხედავთ, პრივატიზაცია-განსახელმწიფოებრიობის გაურკვეველ ღონისძიებებს ვახორციელებთ.

ჩემი ღრმა რწმენით, ჩვენში მიმდინარე სავალალო კრიზისის, და, აქედან გამომდინარე, ცხოვრების დონის დაქვეითების ყველაზე მთავარი მიზეზი სწორედ ეს არის.

დაბოლოს, ვფიქრობ, თავად პარლამენტმა და მოსახლეობამ უნდა ვიცოდეთ, რა შეცდომა დაუშვა არა მარტო საერთოდ გადამდგარმა მინისტრთა კაბინეტმა, არამედ მისმა თითოეულმა წევრმა, რა მიზეზებმა მიიყვანა ქვეყანა კრიზისის უმაღლეს, ე. ი. დეპრესიის ფაზამდე, რაც, სამწუხაროდ, კიდევ უფრო ღრმავდება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ყველამ უნდა ვიცოდეთ, ვინ წამოიწყო სახელმწიფო საკუთრების დაუსაბუთებელი ნგრევისა და მეტად ნაჩქარევი პრივატიზაცია-განსახელმწიფოებრიობის პროცესი, რამაც, თავის მხრივ, კატასტროფამდე მიიყვანა ჩვენი ცხოვრების ყველა სფერო.

დარწმუნებული ვართ, ამ მიზეზებისა და მისი „ავტორების" გაურკვევლად კიდევ უფრო შემზარავი შეცდომები „მოგვივა" ახალი მინისტრთა კაბინეტის შედგენისას, სათქმელი ბოლომდე უნდა ითქვას. არადა, როგორც პარლამენტისა და ყოფილი მთავრობის ზოგიერთი წევრის გამოსვლებიდან ჩანს, ისინი მხარს უჭერენ არა იმდენად ზომიერი სამეურნეო რეფორმების კურსს, რამდენადაც, ყბადაღებულ რადიკალურ ღონისძიებებს, უპირველეს ყოვლისა, „ერთი ხელის მოსმით" სახელმწიფო საკუთრების მოსპობას, მრუდედ აგებული საბაზრო ურთიერთობის დამკვიდრებას, ფასების სრულ ლიბერალიზაციას და ა. შ.

ჩვენი აზრით, ასეთი ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელება ვერავითარ სარგებელს ვერ მოუტანს ქვეყანას, პირიქით, კიდევ უფრო გააღრმავებს და გაამწვავებს მიმდინარე კრიზისს.

რესპუბლიკის მოსახლეობა კარდინალური, მაგრამ ბრძნული და გამართლებული ცვლილებების მოლოდინშია.

კლიმენტი ელიზბარაშვილი,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

ᲡᲐᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲝ ᲤᲝᲡᲢᲘᲓᲐᲜ

ᲐᲛ ᲢᲠᲘᲐᲚ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲖᲔ

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲧᲐᲠᲐᲑᲐᲦᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

შეერთებული შტატები ძალზე შეშფოთებულია მთიანი ყარაბაღის სამხრეთ ნაწილსა და მის მიმდებარე რაიონებში სამხედრო მოქმედების ესკალაციის შესახებ ცნობების გამო, — განაცხადა ორშაბათს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა მაიკლ მაკკერიმ.

„ეს ხდება მაშინ, როცა ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მინსკის ჯგუფი მართავს შეხვედრას რომში სამშვიდობო პროცესის ფარგლებში ახალ ინიციატივათა შემუშავების მიზნით, — აღნიშნა მან. ამერიკის შეერთებული შტატები მოუწოდებს კონფლიქტის მონაწილე ყველა მხარეს შეწყვიტონ სამხედრო მოქმედება და დათანხმდნენ ოკუპირებული ტერიტორიებიდან ჯარების გამოყვანს, ცეცხლის დროებითი შეწყვეტის, კონფლიქტის ზონაში საერთაშორისო მეთვალყურეთა განლაგებისა და სამშვიდობო მოლაპარაკებების განახლების შესახებ მინსკის ჯგუფის წინადადებათა შესრულებას. „წინათ კონფლიქტში ჩაბმული ყველა მხარე ეთანხმებოდა ამ ინიციატივას, — აღნიშნა სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა. — დადგა დრო, რომ დაიწყოს მათი განხორციელება".

ევროპის ქვეყნებთან ერთად ამერიკის შეერთებული შტატები მუშაობს ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში მრავალი რეგიონული პრობლემის მოწესრიგებისათვის და ცდილობს შეასრულოს შუამავლის როლი მტრულად განწყობილ მხარეებს შორის, თქვა შემდეგ მ. მაკკერიმ. მთიან ყარაბაღში მიმდინარე კონფლიქტის გარდა, შეერთებული შტატები დიდი ყურადღებით ადევნებს თვალყურს საქართველოსა და ტაჯიკეთში შექმნილ ვითარებას. „ამ რეგიონებში აქტიურად მუშაობენ ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალური წარმომადგენლები, რომლებიც ცდილობენ ხელი შეუწყონ კონფლიქტების მოწესრიგებას", — განაცხადა მან.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲝᲐᲚᲘᲪᲘᲣᲠᲘ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐ

იაპონიაში პირველად 38 წლის შემდეგ შეიქმნა ახალი კოალიციური მთავრობა, რომელსაც მეთაურობს „ნეოკონსერვატიული" ახალი პარტიის თავმჯდომარე მორიხირო ხოსოკავა. ახალი კაბინეტი ეყრდნობა შვიდპარტიულ ალიანსს—სოციალ-დემოკრატების, ნეოკონსერვატორებისა და ცენტრისტების შემადგენლობით, რომლებმაც მიმდინარე წლის ივნისის საყოველთაო არჩევნებში კოალიციური უმრავლესობა მოიპოვეს პარლამენტის მთავარ ქვედა პალატაში. კოალიციაში შემავალი ყველა პარტიის ლიდერებმა მიიღეს პოსტები მთავრობაში. პრემიერ-მინისტრის მოადგილის და საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობა დაიკავა იაპონიის განახლების პარტიის ლიდერმა ციტომუ ხატამ. ამ დაჯგუფებამ, რომელიც აერთიანებს ყოფილი მმართველი ლიბერალურ დემოკრატიული პარტიიდან გამოსულ წევრებს მთავრობაში მიიღო 5 წამყვანი მინისტრის თანამდებობა. მათ შორის ფინანსთა, საგარეო ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრის და ეროვნული თავდაცვის სამმართველოს უფროსის პოსტები. როგორც მიმომხილველები აღნიშნავენ, სწორედ ეს მოღვაწეები მოახდენენ შესამჩნევ გავლენას კაბინეტის საგარეო, თავდაცვისა და ეკონომიკურ პოლიტიკაზე.

ᲤᲝᲜ-ᲐᲛᲔᲠᲝᲜᲒᲔᲜᲘ „ᲐᲠᲐᲡᲐᲙᲛᲐᲠᲘᲡᲐᲓ" ᲛᲘᲘᲩᲜᲔᲕᲡ

ბერლინის რადიოსადგურ „რიასისათვის" ინტერვიუში გერმანიის ეკონომიკის აღმოსავლეთის კომიტეტის თავმჯდომარემ ოტო ფონ-ამერონგენმა რუსეთში ივლისის დამლევს გატარებულ ფულად რეფორმას „არასაკმარისი" უწოდა. მან კერძოდ თქვა: „ძველი ნიმუშის ფულადი ნიშნების ამოღება მიმოქცევიდან შეადგენს სავალუტო სისტემის რეფორმის მხოლოდ ნაწილს. რუსეთის ცენტრალურმა ბანკმა არაპროფესიულად მოამზადა ფულადი ნიშნების შეცვლის აქცია. ახალი კუპიურების შემოღება უაზროა თუ არ იქნება შეცვლილი საქონლისა და მომსახურების მიწოდების პირობები. დაუშვებელია სიტუაცია, როცა ცენტრალური ბანკი უშუალოდ ემორჩილება პარლამენტს. ეროვნული ბანკი მთლიანად დამოუკიდებელი უნდა იყოს პოლიტიკიდან და მუშაობდეს მხოლოდ ეროვნულ ვალუტასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

ᲐᲞᲘᲠᲔᲑᲔᲜ ᲨᲐᲕᲘ ᲖᲦᲕᲘᲡ ᲡᲠᲣᲢᲔᲔᲑᲘᲡ ᲩᲐᲙᲔᲢᲕᲐᲡ...

ანკარიდან იტარ-ტასის კორესპონდენტი გადმოგვცემს, რომ თურქეთი იმზადება დახუროს შავი ზღვის სრუტეები ნავთობის ტანკერებისათვის. კორესპონდენტი ეყრდნობა გაზეთ „ჰიურიეთის" ცნობას, რომელიც თავის მხრივ თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წყაროებს იმოწმებს: გაზეთის აზრით ტანკერები დიდ საშიშროებას უქმნიან თურქეთის ქალაქებს. უწინარეს ყოვლისა, სტამბულს, რომელსაც შეიძლება თავს დაატყდეს ეკოლოგიური კატასტროფა, თუ ნავთობიანმა ტანკერმა ბოსფორში ავარია განიცადა. ამრიგად ანკარა აცხადებს, რომ არ დაუშვებს ნავთობის „გატარებას" თავისი სრუტეების მეშვეობით შუა აზიიდან და კავკასიიდან და, მზად არის გადასინჯოს ნავთობის გადაზიდვის რეჟიმის კონვენცია. ამჟამად ყოველწლიურად ბოსფორითა და დარდანელით „ატარებენ" 5-6 მილიონ ტონა „შავ ოქროს". ძირითადად ეს არის რუსეთისა და ყაზახეთის ნავთობი. თურქეთი მხარს უჭერს ნავთობსადენის მშენებლობას აზერბაიჯანიდან თავის ხმელთაშუაზღვის ნავსადგურამდე. ამ არტერიით შეეძლებათ ისარგებლონ როგორც შუა აზიის ქვეყნებმა, ისევე რუსეთმა. შექმნილია კონსორციუმი, რომელშიც შედიან აზერბაიჯანის, თურქეთის, ბრიტანეთისა და ამერიკის ფირმები. მათ უნდა განახორციელონ ეს პროექტი. მიმდინარეობს მოლაპარაკება გაზსადენების მარშრუტის შესახებ, რომელმაც შეიძლება გაიაროს სომხეთის, ირანის ან საქართველოს ტერიტორიაზე. სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტის გამო პირველი ვარიანტი თითქმის არ არის რეალური. მეორე ვარიანტს წინააღმდეგი არიან დასავლეთის სახელმწიფოები, რომლებიც ირანს არ ენდობიან. უკანასკნელ ხანებში კონსორციუმის მონაწილენი სულ უფრო მეტად ფიქრობენ შეიქმნას ტრასა აზერბაიჯანი-საქართველო-თურქეთი. მაგრამ ნავთობსადენის მშენებლობა ცოტა დროს როდი დაიკავებს, ხოლო სრუტეების დაკეტვა ნავთობმატარებელი ტანკერებისათვის, აღნიშნავს „ჰიურიეთი" საგრძნობლად შელახავს რუსეთის ფედერაციისა და ყაზახეთის ინტერესებს.

ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲔᲠᲗᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘ

ივლისში ჩატარებული მოსახლეობის გამოკითხვის შედეგებით მხოლოდ პოლონელთა ერთ პროცენტს მიაჩნია, რომ ქვეყანაში დემოკრატიული საზოგადოების შექმნა შეიძლება. ეს ცნობა გაავრცელა პოლონეთის რესპუბლიკის საზოგადოებრივი აზრის ავტორიტეტულმა ცენტრმა. სოციოლოგთა მონაცემებით (რომლებმაც 1086 მოქალაქე გამოკითხეს ყველა ვოევოდაში) უდიდესი უმრავლესობა სკეპტიკურად უყურებს რომ შესაძლებელი იქნება სწრაფად დამთავრდეს პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმები პოლონეთში. თითქმის ერთსულოვნად გმობენ პოლონელები სიტყვის, კრებებისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თავისუფლების შეზღუდვას. რესპონდენტების ორმა მესამედმა განაცხადა, რომ გულგაცრუებულნი არიან პარტიებისა და მოძრაობების ლიდერებით.

ᲛᲐᲠᲨᲐᲚ ᲔᲕᲒᲔᲜᲘ ᲨᲐᲞᲝᲨᲜᲘᲙᲝᲕᲘᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ

რადიოსადგურმა „თავისუფლებამ" გადმოსცა რუსეთის ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის ევგენი შაპოშნიკოვის ინტერვიუ, რუსეთის სამხედრო დოქტრინასთან დაკავშირებით. მარშალმა ევგენი შაპოშნიკოვმა უპასუხა, რომ ჯერ არ არის შემუშავებული რუსეთის სამხედრო დოქტრინა, რომელიც მისი სიტყვით უნდა იყოს ქვეყნის ეროვნული უშიშროების კონცეფციის შემადგენელი ნაწილი. რომ ამჟამად მიმდინარეობს რუსეთის ეროვნული უშიშროების კონცეფციის შემუშავება. მისი აზრით უპირველესი შემადგენელი ნაწილი ამ კონცეფციისა იქნება ეკონომიკური უშიშროების სტრატეგია, რამდენადაც სწორედ ეკონომიკური ძლიერება განსაზღვრავს ქვეყნის ეროვნული უშიშროების კონცეფციის ყველა შემადგენელ კომპონენტს. ეკონომიკური უშიშროების პრიორიტეტულობა გულისხმობს ქვეყნის რესურსების რაციონალურ გამოყენებას, ეკონომიკის დარგების ჰარმონიულ ამუშავებას, ქვეყანაში მტკიცე წესრიგის დაცვას, მარშალმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სამხედრო უშიშროების დოქტრინისათვის მთავარი იქნება სწორედ რუსეთის საშინაო ინტერესების დაცვა. ხოლო რაც შეეხება ახლო და შორეულ საზღვარგარეთთან ურთიერთობის საკითხებს, აქ თავისი სიტყვა უნდა თქვას რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ, რათა უზრუნველყოს ქვეყნის ეროვნული უშიშროების განმტკიცება. შეკითხვაზე უმაღლეს ეშელონებში კორუფციისა და მაფიოზური ელემენტების არსებობის თაობაზე, მარშალმა თქვა, რომ რუსეთის უშიშროების საბჭო ყველა ღონეს წარმართავს დანაშაულებრივი მოქმედების წინააღმდეგ ბრძოლისათვის, ქვეყანაში წესრიგის დასამყარებლად. რუსეთის სამხედრო დოქტრინა იქით უნდა იყოს მიმართული, რომ არ შეიქმნას საშიშროება მშვიდობას, „ღმერთმა ნუ ქნას ხელისუფლების სათავეში მოვიდნენ „დამნაშავე ძალები" დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებში. ბრძოლა უნდა გაჩაღდეს ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ. მარშალმა უარყო პრესაში გამოჩენილი ცნობები, თითქოს იგი იუგოსლავიის ყოფილ ტერიტორიაზე შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით ერთობლივი მოქმედებისათვის მორიგებოდეს ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების მთავარსარდალს ჯონ შალიკაშვილს. მან თქვა, რომ ასეთ მორიგებას ადგილი არ ჰქონია, რომ მისი აზრით ნატო ჯერ კიდევ წარმოადგენს თავდაცვით ორგანიზაციას და მის ფუნქციებში არ შედის ამა თუ იმ ქვეყანაში სამხედრო ჩარევა. რომ ჯერ არ არის იმაზე ლაპარაკის დრო, რომ ნატო გადაიქცა ახლებურ ორგანიზაციად, რომ სამისოდ მარშალის აზრით უნდა გაძლიერდეს გაეროს ფუნქციები, რომლის წესდებაში გათვალისწინებულია, სპეციალური შეიარაღებული ძალებისა და სარდლობის სტრუქტურები.

ᲐᲛ ᲢᲠᲘᲐᲚ ᲐᲜᲐᲖᲔ

ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲡ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡᲘ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲙᲐᲜᲝᲜᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ

შეიძლება სიმბოლურიც იყოს, რესპუბლიკის ყოფილი უზენაესი საბჭოს შენობაში, რომელიც დეკემბერ-იანვრის იმ ტრაგიკულ დღეებში დაინგრა, ჯერჯერობით პარლამენტის მხოლოდ საფინანსო-საბიუჯეტო კომისია მუშაობს. სწორედ ბიუჯეტმა და ფინანსებმა უნდა მისცეს ქვეყანას სამომავლო ღონე, რათა დანგრეულიც აღადგინოს და წაქცეული ეკონომიკაც ფეხზე წამოაყენოს.

მახსოვს, ამ კომისიის თავმჯდომარედ თემურ ბასილიას არჩევას როგორ ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი ჩვენმა პარლამენტარებმა. ამის საბაბი, ალბათ მის პიროვნულ ღირსებებში, ცხოვრებისეულ გამოცდილებაში უნდა ვეძებოთ. ახალგაზრდა პარლამენტარი, რომელსაც დამთავრებული აქვს თბილისის უნივერსიტეტის სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ფაკულტეტი, სხვადასხვა დროს მუშაობდა ქარხანა „თბილხელსაწყოს" ეკონომისტად, სამქროს ოსტატად, ტექნიკური ნორმირების ბიუროს უფროსად, საქარხნო რაიონის ტერიტორიული დარგთაშორისი გაერთიანების უფროსის მოადგილედ, სააქციო გაერთიანება „განთიადის" მთავარი ეკონომისტის მოადგილედ და სხვა. ბატონი თემური ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის წევრია, ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.



— ბატონო თემურ, სისტემატურად ვადევნებ თვალყურს პრესაში პარლამენტის კომისიათა თავმჯდომარეების გამოსვლებს. ზოგი მათგანი ზოგად პრობლემებზე უფრო მეტს ლაპარაკობს, ვიდრე თავისი კომისიის საქმიანობაზე. თქვენ რა მიგაჩნიათ კომისიის უმთავრეს ამოცანად?

— ჩვენი კომისიის (და საერთოდ საპარლამენტო კომისიების) უმთავრესი მიზანი გახლავთ კანონშემოქმედებითი საქმიანობა, მეორეა ამ კანონების შესრულებაზე კონტროლის გაწევა. ჩვენ ვამბობთ, რომ ვაშენებთ სამართლებრივ სახელმწიფოს, თავისუფალ ეკონომიკას. ორივე ეს მომენტი მოითხოვს შესაბამის კანონმდებლობას, რომლის შექმნისთვისაც საპარლამენტო კომისიები ამჟამად იღვწიან.

— მუშაობის პირობები თუ გაქვთ?

— თქვენც ხედავთ, რა პირობებში ვმუშაობთ. შენობის რეკონსტრუქცია მიმდინარეობს, ხშირად ისეთი ხმაურია, თანამშრომლებს ერთმანეთის ხმაც აღარ გვესმის. იქაც, პარლამენტის შენობაში მთელი კომისია ერთ პატარა ოთახში ვიყავით შეყუჟული. არა გვაქვს კომპიუტერი, გამოთვლითი ტექნიკა, სხვა ტექნიკური საშუალებები. ასეთ პირობებშიც შევძელით მოგვემზადებინა კანონები „საბიუჯეტო სისტემისა და უფლებების შესახებ", „კონტროლის პალატის შესახებ", „აუდიტორული საქმიანობის შესახებ", რომლებიც პარლამენტმა უკვე მიიღო. ამასთან, პარლამენტის სხდომაზე გავიტანეთ ათამდე დადგენილების პროექტი, პრაქტიკულად მზად გვაქვს კანონპროექტები „საინვესტიციო საქმიანობის შესახებ", „სტატისტიკის შესახებ", კანონთა პაკეტი (მოიცავს 10 კანონს) „საგადასახადო სისტემის შესახებ". მზადების პროცესშია კანონები ეროვნული ბანკის, საბანკო საქმიანობის, დაზღვევის, სავალუტო რეგულირების, ფასიანი ქაღალდების შესახებ. კომისიამ შეისწავლა ევროკრედიტების საკითხი, ამჟამად კი სწავლობს ეროვნული ბანკის კრედიტების მიზანშეწონილობას.

— ეს ახლა, მაგრამ ნორმალური პირობები რომ ყოფილიყო?

— მაშინ ეს ყველაფერი მოთავრებული გვექნებოდა.

— ეს ყველამ ხომ არ იცის. ზოგი ფიქრობს, რომ პარლამენტში ბევრს ლაპარაკობენ, საქმეს კი ნაკლებს აკეთებენ. მხედველობაში აქვთ კანონები, რომელთა მიუღებლობა ამუხრუჭებს რეფორმებს, ეკონომიკის აღორძინებას.

— რას იზამ, სამწუხაროდ, დღეს პარლამენტი პოლიტიკური საკითხებით უფრო არის დაკავებული, ვიდრე ეკონომიკურით, რაც მე არაერთხელ აღმინიშნავს. ეს გამოწვეული იყო ომით, არასტაბილური პოლიტიკური მდგომარეობით. თუ ყველაფერ ამას თავი დავაღწიეთ, ბუნებრივია, პარლამენტი მეტ ყურადღებას დაუთმობს ეკონომიკას, მისი საკანონმდებლო ბაზის განმტკიცებას.

— დიახ, ხდება ხოლმე, რომ საკანონმდებლო ბაზა არ შეგვიქმნია და რეფორმების გატარება კი გვსურს.

— მე ასე არ ვიტყოდი, გვაქვს საკმაო საკანონმდებლო ბაზა (ეს არ ნიშნავს, რომ იგი სრულყოფილია) იმისათვის, რომ რეფორმა, კერძოდ, პრივატიზაცია განხორციელდეს.

— გასაკვირიც ეს არის, თუ ბაზა გვაქვს, პრივატიზაცია მაშ რატომღა ფერხდება?

— ეს უკვე რესპუბლიკის მთავრობას უნდა ვკითხოთ.

— მთავრობას დღეს ბევრი აკრიტიკებს. ამბობენ, რომ მინისტრთა კაბინეტი, რადგან თანამოაზრეთა ერთიანი გუნდი არ წარმართავდა, ამიტომაც ვერ ახორციელებდა სტრუქტურულ ცვლილებებს. ვერ უძღვებოდა ქვეყნისთვის ესოდენ საჭირო რეფორმებს.

— ვეთანხმები, მინისტრთა კაბინეტში თანამოაზრეთა გუნდი ნამდვილად არ იყო. ეს გარკვეულწილად ხელს უშლიდა ქვეყნის რეფორმირებას, მაგრამ ყველაფრის ამაზე გადაბრალება მაინც არ იქნებოდა სწორი. აქ, რა თქმა უნდა, სხვა ფაქტორებიც მოქმედებს.

— ფრიად კრიტიკული იყო პარლამენტის დამოკიდებულება ბიუჯეტისადმი, რომელიც მთავრობამ (გადადგომამდე) წარმოადგინა. როგორ ფიქრობთ, დღევანდელ პირობებში შეეძლო კი მთავრობას ჩვენი მწვავე დეფიციტური ბიუჯეტის უკეთესად შეცვლა?

— ბიუჯეტი ქვეყნის ეკონომიკის სარკეა და მას ვერ შეალამაზებ. არც არავინ ითხოულობს მის კოსმეტიკას. აქ პრობლემის არსი ბიუჯეტისადმი მიდგომაში გახლავთ. ჩვენ გვაქვს ბიუჯეტის შესახებ საკმაოდ კარგი რეფორმისტული კანონი, რომლის მოთხოვნებიც არ შესრულდა. წარუმატებლობის მიზეზი სწორედ ამაშია — საბიუჯეტო სფეროში სერიოზული რეფორმა არ მომხდარა.

— ზოგს მიაჩნია, რომ თუ ბიუჯეტის შემოსავლები პროექტთან შედარებით ერთიორად მეტი დაიგეგმება, დეფიციტი აღმოიფხვრება.

— ძნელია იმის ზუსტად განსაზღვრა, თუ რამდენჯერ მეტი უნდა იყოს შემოსავლები, მაგრამ, ვფიქრობ, შესაძლებელია ხარჯების მნიშვნელოვნად შემცირებაც და შემოსავლების მნიშვნელოვნად გაზრდაც. აქ თანაფარდობის განსაზღვრა, კიდევ ვიმეორებ, ძალიან ძნელია.

— რით შეიძლება ბიუჯეტის დეფიციტის გამოსწორება?

— მხოლოდ ხარჯების შემცირებით და შემოსავლების გაზრდით.

— დღეს ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობას ხშირად აკრიტიკებენ იმ ლიბერალური ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გამო, რომელსაც ის ატარებს. საერთოდ, ამ საქმეში ზოგი მკაცრ პოლიტიკას ემხრობა, ზოგი ლიბერალურს. თქვენ რა აზრის ბრძანდებით?

— ქვეყანამ, რომელიც რეფორმის გზას ადგას, უნდა თუ არ უნდა, ფულად-საკრედიტო სისტემაში მეტნაკლებად მკაცრი პოლიტიკა უნდა გაატაროს. თუ ძველებურად გაგრძელდა და ასეთი პოლიტიკა არ გატარდა, ეს გამოიწვევს ჰიპერინფლაციურ პროცესებს, რაც კიდევ უფრო შეუწყობს ხელს ეკონომიკის მოშლას.

— ბატონო თემურ, [illegible] საზღვარგარეთელ[illegible], რომლებსაც [illegible] ხსნის, რომ ჩვენში საზღვარგარეთელი ინვესტორების უფლებები და გარანტიები კანონით დაცული არ არის.

— ასეთ მოსაზრებას ვერ დავეთანხმები. საკანონმდებლო ბაზა უცხოური ინვესტიციების შემოუსვლელობის ერთ-ერთი მიზეზია, მაგრამ არა გადამწყვეტი. აქ უფრო არსებით როლს ასრულებს ქვეყანაში შექმნილი არასტაბილური ვითარება. ახლა, როცა იქმნება პირობები ამ ვითარების შეცვლისათვის, ინვესტიციების მოზიდვის იმედი უნდა ვიქონიოთ. სხვათა შორის, ჩვენ გვაქვს კანონი უცხოური ინვესტიციების შესახებ, რომელიც ამ სფეროში მუშაობისათვის საკმაო ბაზას იძლევა. მუშავდება ახალი კანონიც, რომელიც უფრო დახვეწილია და საზღვარგარეთელ ინვესტორებს მეტ გარანტიებს აძლევს.

— ბევრჯერ ითქვა საგადასახადო პოლიტიკის ლიბერალიზაციის, წარმოების წნეხისგან განთავისუფლების თაობაზე, მაგრამ დღემდე კონკრეტული ნაბიჯები არ გადადგმულა. თქვენ თქვით, რომ კომისიას უკვე მზად აქვს კანონთა პაკეტი საგადასახადო სისტემაზე. რა სიახლეებს გვპირდება იგი?

— საგადასახადო სისტემა უფრო ლიბერალური იქნება. შემცირდება საგადასახადო თანხები, გამკაცრდება ღონისძიებანი იმ პირთა მიმართ, ვინც თავს აარიდებს კანონით დადგენილ გადასახადებს.

— მაგრამ საგადასახადო თანხების შემცირება ბიუჯეტს ხომ არ დააზარალებს?

— სამაგიეროდ, ეს ის ბაზაა, რომელიც მომავალში მეტ ეფექტს მოგვცემს, ხელს შეუწყობს წარმოების გამოცოცხლებას. თუ გვინდა, რომ ბიუჯეტში თანხები საკმაოდ შევიდეს, წარმოება უნდა გავანთავისუფლოთ მოუქნელი საგადასახადო პოლიტიკისაგან. აბა მითხარით, ვის რაში სჭირდება მაღალი გადასახადი, რომელიც აფერხებს სახსრების მობილიზაციას, ბოჭავს მეწარმეთა ინიციატივას, აიძულებს მათ დამალონ რეალური შემოსავლები?

საგადასახადო სისტემის ლიბერალიზაცია ერთ-ერთი იმ გზათაგანია, ქვეყნის ეკონომიკას კრიზისისაგან რომ გამოიყვანს.

ესაუბრა
ოთარ ხუციშვილი.

ფირმა „აკა“

AKA

Mercedes-Benz-ის **ოფიციალური და ექსკლუზიური დისტრიბიუტერი საქართველოში** Castrol-ის

გთავაზობთ:



Mercedes-Benz AG

- ☑ ახალ და „მეორე ხელის“ ავტომობილებს საწყობიდან და შეკვეთით
- ☑ ავტომობილების ფართო არჩევანს: სპორტული კუპედან სპეცდანიშნულების ავტომობილებამდე
- ☑ სალონის შესრულებას ინდივიდუალური შეკვეთით
- ☑ სხვადასხვა დამატებითი მოწყობილობებით დაკომპლექტებას
- ☑ საქარხნო ფასებს
- ☑ ნაღდ და უნაღდო ანგარიშსწორებას კონვერტირებადი ვალუტით
- ☑ ფასებზე შეღავათს საბითუმო პარტიებზე

უახლოეს მომავალში თქვენ გელით:

- ☑ საგარანტიო მომსახურეობა
- ☑ ტექნიკური მომსახურეობა და მიმდინარე რემონტი
- ☑ სათადარიგო ნაწილებით მომსახურეობა
- ☑ სამღებრო-აღდგენითი სამუშაოები, საკოლექციო ნივთები და აქსესუარები „მერსედეს-ბენცის“ საფირმო სტილში

Castrol

The BURMAH OIL GmbH
Hamburg

- ☑ მსოფლიოში აღიარებული ფირმა Castrol-ის უმაღლესი ხარისხის ნაწარმს, რომელიც ფართოდ გამოიყენება ყველა მარკის მასობრივი და ელიტარული კლასის ავტომობილებში
- ☑ საუკეთესო საექსპლუატაციო და ეკოლოგიური თვისებების, საცხებ და საპოხ მასალებს, სპეციალურ სითხეებს
- ☑ ფართო ასორტიმენტს ევროპულზე დაბალ ფასებში
- ☑ ნაღდ და უნაღდო ანგარიშსწორებას კონვერტირებადი ვალუტით
- ☑ ფასებზე შეღავათს საბითუმო პარტიებზე
- ☑ დაინტერესებულ სავაჭრო ორგანიზაციებს განსაკუთრებულ შეღავათიან პირობებს

Castrol
MOTOR OIL



საერთაშორისო საავტომობილო გადაზიდვებს შეღავათიან ფასებში

მოგვმართეთ შემდეგი მისამართით: 380077 ქ.თბილისი, უნივერსიტეტის ქ., 6
ტელ.: 39-70-67 ფაქსი: 29-28-76

საერთაშორისო ურთიერთობათა და ჰუმანიტარულ-საბუნებისმეტყველო ინსტიტუტი

(ფასიანი უმაღლესი სასწავლებელი)

(ქართული და რუსული სექტორი)

აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას 1993-1994 სასწავლო წლისათვის შემდეგ ფაკულტეტებზე:

საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტი;

საერთაშორისო ეკონომიკის ფაკულტეტი;

სლავური ენების ფაკულტეტი;

საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის ფაკულტეტი

საბუთების მიღება იწარმოებს ყოველდღე (კვირის გარდა) 12-დან 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: რობაქიძის გამზირი 7ა (მეტრო დიღუბე) პოლიგრაფიული კოლეჯის შენობა.

ჩარიცხვა მოხდება გასაუბრების წესით. მიიღებიან საშუალო და უმაღლესი განათლების მქონე მოქალაქენი.

ტელეფონები: 51-30-70, 22-77-77, 38-90-48, 78-98-33, 31-14-54.

მიმღები კომისია.

---

108 პროცენტს პირველ წელს და 338 პროცენტს მეორე წელს ვალუტაში გთავაზობთ საფინანსო-სატრასტო კომპანია „კონტინენტს ინტერნეშნლ“-ი იურიდიულ და ფიზიკურ პირებს, ვისაც გსურთ თქვენი კაპიტალი 3 თვიდან 2 წლის ვადით ჩადოთ საფინანსო-სატრასტო კომპანია „კონტინენტს ინტერნეიშნლ“-ის კომერციულ ოპერაციაში, რომელშიც გათვალისწინებულია საკვები პროდუქტებისა და ფართო მოხმარების საქონელის შემოტანა რესპუბლიკაში. თქვენი კაპიტალი აღმავალი პროგრესიით გაიზრდება.

		შემ. თანხა		დანამატი			ხელზე
1	თვე	100	—	თანხების აკუმულირება			
2	თვე	100	+	2	%	=	102
3	თვე	102	+	3	%	=	105
4	თვე	105	+	4	%	=	109
5	თვე	109	+	5	%	=	114
6	თვე	114	+	6	%	=	121
7	თვე	121	+	7	%	=	129
8	თვე	129	+	8	%	=	139
9	თვე	139	+	9	%	=	152
10	თვე	152	+	10	%	=	167
11	თვე	167	+	11	%	=	185
12	თვე	185	+	12	%	=	208
13	თვე	208	+	1	%	=	210
14	თვე	210	+	2	%	=	214
15	თვე	214	+	3	%	=	220
16	თვე	220	+	4	%	=	229
17	თვე	229	+	5	%	=	240
18	თვე	240	+	6	%	=	254
19	თვე	254	+	7	%	=	272
20	თვე	272	+	8	%	=	294
21	თვე	294	+	9	%	=	320
22	თვე	320	+	10	%	=	352
23	თვე	352	+	11	%	=	391
24	თვე	391	+	12	%	=	438

ეს გარანტირებული მოგებაა.

კლიენტებს შეუძლიათ თავისი მოგების მიღება ყოველ კვარტალურად ან ნებისმიერი კვარტალის ბოლოს მიიღოს თავისი ფული და მოგება ერთად.

კლიენტებს შეუძლიათ მოგების მიღება საკვები პროდუქტებითაც (გასაყიდი ფასით).

მიიღება ვალუტა როგორც ნაღდი, ასევე უნაღდო ანგარიშითაც.

მიიღება ასევე სამანეთო და სავალუტო სახსრები „ახლო“ და „შორეული“ საზღვარგარეთიდანაც.

მინიმალური შესატანი თანხაა 100 დოლარი, ნაკლები თანხები შეიძლება გაერთიანდეს პულებში (1 პული – 100 დოლარი).

1992 წლის ვალდებულებები კომპანიამ თავისი კლიენტების წინაშე შეასრულა. დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება შეგიძლიათ კომპანიაში.

ჩვენი კომპანია შეტანილია ინგლისურ საერთაშორისო რეესტრში „სტერლინგ პაბლიშენ გრუპ პი-ელ-სი“, რომელიც ატარებს მარკეტინგულ გამოკვლევებს, მსხვილი კომპანიების, კონცერნებისა და კორპორაციების პრეზენტაციებს მთელ მსოფლიოში. ასევე უშვებს ჟურნალ „გლობალ მარკეტინგ“-ს (მსოფლიო მარკეტინგი), რომელიც განკუთვნილია მსოფლიოს მსხვილი ბიზნესმენებისათვის.

ნოემბერში ჩატარდება ჩვენი კომპანიის პრეზენტაცია ლონდონში. ჟურნალ „გლობალ მარკეტინგ“-ის ამავე თვის ნომერში იქნება წარმოდგენილი ჩვენი კომპანიაც. ამ ნომერს შეგეძლებათ გაეცნოთ ჩვენს ოფისში.

საფინანსო-სატრასტო კომპანია „კონტინენტს ინტერნეშნლ“-ი თქვენი სერიოზული, სოლიდური, საიმედო და ხელსაყრელი პარტნიორია.

ჩვენი რეკვიზიტებია:
ამერიკული დოლარებისათვის — ა/ა № 07000801
საქართველოს სამეფო ბანკი МФО 521794
გერმანული მარკებისათვის — ა/ა № 07000802
საქართველოს სამეფო ბანკი МФО 521794

ჩვენი მისამართია: მარჯანიშვილის ქ. № 24-89, კორპუსი მე-3, სართული მე-8.

ტელეფონი: 96-43-71.

ЕСЛИ ХОТИТЕ КУПИТЬ КВАРТИРУ, ПРОЧТИТЕ ЭТО ОБЪЯВЛЕНИЕ

Продаются в собственность двух- и трёхкомнатные квартиры в ближайшем Подмосковье (9 км. от Москвы) в новом доме.

Контактные телефоны: (095)
441-05-37
374-65-03
208-93-47
337-30-31

ჟურნალ-გაზეთების რედაქციების საყურადღებოდ!

1994 წლისათვის ჟურნალ-გაზეთებზე ხელმოწერის დაწყებასთან დაკავშირებით გთხოვთ მიმდინარე წლის 16 აგვისტომდე წარმოგვიდგინოთ თქვენი გამოცემის ხელმოწერის ახალი პირობები — გამოცემის დასახელება, ინდექსი, პერიოდულობა, ხელმოწერის ფასი. წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენი გამოცემა არ იქნება შეტანილი საქართველოს რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთების კატალოგში 1994 წლისათვის.

ჩვენი მისამართია: 9 აპრილის ქ. № 2 (ყოფილი ჩიტაძის ქ) პრესის გავრცელების რესპუბლიკური ცენტრი.

---

1. ს.ს.კ. «კონტინენტ ინტერნეიშნლ»-ი

იწყებს დივიდენდების გაცემას თავისი კლიენტებისათვის, რომლებიც არიან ნავთობის კონცერნი „ჰერმესი“-ს აქციონერები.
დივიდენდების გაცემა იწარმოებს გამოქვეყნების დღიდან ხელშეკრულების ნომრების რიგის მიხედვით დღეში 120 აქციონერის ოდენობით.
გაცემა იწარმოებს 45 დღის განმავლობაში.
სერტიფიკატი და პასპორტი გთხოვთ თან იქონიოთ.

წლიური 60 პროცენტი ვალუტაში!!!

2. ასეთ შესაძლებლობას გაძლევთ მხოლოდ საფინანსო-სატრასტო კომპანია

«კონტინენტ-ინტერნეიშნლ»-ი.

თქვენს მიერ შეტანილი ნებისმიერი თანხა 10 ამერიკული დოლარი ან 20 გერმანული მარკა და ზევით ნაღდი ანგარიშით და გადარიცხვით გაძლევთ წლიურ 60 პროცენტ შემოსავალს ვალუტაში.
მიიღება ამერიკული დოლარები და გერმანული მარკები.

არა გაქვთ ვალუტა?! ნუ ინაღვლებთ!
კომპანია მიიღებს კუპონებსა და მანეთებსაც წლიური შემოსავლით 200-300 პროცენტამდე.
მინიმალური შესატანია 10 000 ნაღდი ანგარიშით.

3. ს.ს.კ. „კონტინენტ ინტერნეიშნლ“-თან ერთად მუშაობს ფირმა „მალკა“-ს მოსკოვის წარმომადგენლობა, რომელიც თქვენ დაგეხმარებათ ოპერატიულად მოახდინოთ ბინის (სახლის) გაყიდვა, ყიდვა ან გაცვლა ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, საზღვარგარეთ და საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე.
თქვენი ინფორმაცია შეტანილი იქნება საკომპიუტერო ქსელში და ოპერატიულად იქნება დამუშავებული ფირმა „მალკა“-ს საკომპიუტერო-საინფორმაციო-საგამომთვლელო ცენტრში ქ.მოსკოვში.
გაეცანით ტელეგადაცემას **„Фирма гарантирует“** ოსტანკინოს I -ლ არხზე – 8 საათზე და 45 წუთზე.

4. ს.ს.კ. „კონტინენტ ინტერნეიშნლ“-ი ჰყიდის ჟენშენის ფესვებს (ჩინეთი), რომელთაც აქვთ ხარისხის სერტიფიკატი. მიმდინარეობს საბითუმო და საცალო ვაჭრობა.

ჩვენი მისამართია: მარჯანიშვილის ქ. 24-89, „თბილქალაქპროექტი“-ს შენობა, კორპუსი III, სართული VIII,
ტელეფონი: 96-43-71.

ინდექსირებული და ჩვეულებრივი თანხებით თქვენი მომავლის გარანტიას შეიქმნით!

საქართველოს სახალხო

საინვესტიციო კორპორაცია

ჩვენ გთავაზობთ შეიქმნათ კაპიტალი და დაუტოვოთ იგი შვილებს!

შემნახველ წიგნაკებზე აგვისტოს თვეში დარიცხული გაორმაგებული, ინდექსირებული თანხების გადმორიცხვით თქვენ გახდებით ჩვენი აქციონერი, კორპორაციის მართვის სრული უფლებით.
ერთი აქციის ნომინალური ღირებულებაა 1000 მანეთი.
იყიდება 50 და 100 ათასი მანეთის ღირებულების აქციათა პაკეტები.

გახსოვდეთ!

- ფული ფულთან მიდის, ამიტომ კორპორაცია გააერთიანებს თქვენს ინდექსირებულ და ჩვეულებრივ თანხებს და შექმნის ორ მილიარდიან კაპიტალს. იგი უფრო ეფექტურად გამოიყენება ვიდრე წვრილი თანხა.
- მაღალი დივიდენდი ჩვენთან გარანტირებულია მყარი უძრავი ქონებით.
- ჩვენი აქციებით თავს დააღწევთ ფულის გაუფასურებას და რეფორმებს, რადგანაც მათ უკან იდგება უძრავი ქონება - მაღაზიები, ქარხნები, სასტუმროები - თქვენი უძრავი ქონება!

ყველა თქვენს შეკითხვაზე მიიღებთ ამომწურავ პასუხს!

ჩვენი რეკვიზიტებია: საქართველოს სახალხო საინვესტიციო კორპორაცია;
სააქციო კომერციული ბანკი "TBC-ბანკი", საქართველოს ეროვნული ბანკის საოპერაციო სამმართველო,
საკორესპონდენტო ანგარიში N 800161219, მფო 520018.
მის.: ქ. თბილისი ჭავჭავაძის გამზირი 11. ტელ.: 22-04-16, 22-26-07.

ნუ დაუჯერებთ ფანტასტიკურ დაპირებებს - მას მხოლოდ ავანტურისტები აკეთებენ.
ჩვენ არ გთავაზობთ ოქროს მთებს - ჩვენ გთავაზობთ შეიქმნათ მომავალი.

ინფორმაცია-93

თბილისი. საქართველოს კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიის პრეს-ცენტრიდან გვაცნობებს, რომ ქ. თბილისის პურის საცხობ ქარხნებში იყენებენ [illegible] დაავადებულ ფქვილს.

ქარხნების მესვეურებმა განაცხადეს, ეს დაავადება საშიშროებას არ წარმოადგენს მოსახლეობისთვის, რადგან ფქვილის გადამუშავება მიმდინარეობს 200°-ზე.

კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიის პრეს-ცენტრი [illegible] პროტესტს გამოთქვამს აღნიშნული განცხადების გამო და დაუყოვნებლივ მოითხოვს სათანადო ახსნა-განმარტებას.

პურ-ფუნთუშეულის ხარისხისა და სანიტარიული კონტროლის ცენტრალური რესპუბლიკური ლაბორატორიის უფროსმა, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატმა ლევან ჯიბუტმა ამ ფაქტთან დაკავშირებით განგვიცხადა, რომ ეს ხილინჯი აზიანებს პურის მარცვალს. რაც პურის ცხობის უნარის დაქვეითებას იწვევს.

საქართველოს რესპუბლიკის ჯანდაცვის სამინისტრო ადასტურებს ბატონ ლ. ჯიბუტის განცხადებას და თავის მხრივ გვაცნობებს, ეს დაავადება არავითარ საშიშროებას არ წარმოადგენს ადამიანის ჯანმრთელობისათვის.

ზესტაფონი. ზესტაფონის რაიონის გამგეობამ მოსახლეობის პურით უზრუნველყოფის მიზნით. ამ ბოლო ხანებში პრაქტიკული ღონისძიებანი განახორციელა.

გამგეობასთან შეიქმნა პურის ფქვილით და გამომცხვარი პურით მოსახლეობის მომსახურების შტაბი. სადაც დადგინდა გასაცემი ნორმები და შედგა გრაფიკი ფქვილის მიწოდებისა და ქალაქის მომარაგების მიზნით.

სოხუმი. აფხაზეთში განლაგებული საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარი შტაბის პრეს-ცენტრიდან გვაცნობებს, 9-10 აგვისტოს ღამით. სამხედრო დამკვირვებლებმა დააფიქსირეს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების დარღვევა. კერძოდ, სოხუმის რაიონის სოფ. ცუგუროვკასთან აფხაზთა მხარემ ცეცხლი გაუხსნა საქართველოს სამთავრობო ჯარების პოზიციებს ავტომატური იარაღიდან. ტყვიამფრქვევებიდან და ნაღმსატყორცნებიდან.

ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების დარღვევა აგრეთვე დაფიქსირდა ოჩამჩირის რაიონის სოფ. ტამიშთანაც.

10 აგვისტოს, გამთენიისას, 4.00 საათზე საქართველოს შეიარაღებული ძალების პოზიციებს ოჩამჩირის რაიონის ტერიტორიაზე გადაუფრინა სუ-27 ტიპის ორმა თვითმფრინავმა. საქართველოს შეიარაღებული ძალების სარდლობა დაუკავშირდა რუსეთის ფედერაციის სამხედრო ხელმძღვანელობას გუდაუთაში. მათი განმარტებით, ადგილი ჰქონდა საწვრთნელ გაფრენებს.

სოხუმი. დღეს გაერთიანებულ კომისიაში სამუშაოდ, სოხუმიდან ბიჭვინთაში გაემგზავრა ქართველთა დელეგაცია, რომელსაც ხელმძღვანელობს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ჟიული შარტავა.

სოხუმი. ტრაგიკულმა შემთხვევამ სიცოცხლე გამოასალმა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტელევიზიის ტელეოპერატორი ქუჩური ადანაია.

კიდევ ერთი ჟურნალისტი შეემატა საომარი კონფლიქტების მსხვერპლთა სიას.

თბილისი. საქართველოს კულტურის სამინისტროს პრეს-ცენტრიდან გვაცნობებს, რომ ირანელთა დელეგაციის ხელმძღვანელმა, ირანის კულტურის მინისტრმა ალმოდამ, რომელიც საქართველოს კულტურის სამინისტროს ირანის პრეზიდენტის პირადი დავალებით ეწვია, საქართველოს კულტურის მინისტრი დ. მაღრაძე და კულტურის მინისტრის მოადგილე რ. ამაშუკელი ირანში მიიწვია, რათა ხელმოწერილ იქნას საქართველო-ირანის კულტურული ურთიერთობის ხელშეკრულება, რომლის პროექტზეც ამჟამად აქტიურად მუშაობს ორივე მხარე.

სტუმარმა აღნიშნა, რომ ირანულ მხარეს სურს აღადგინოს ის დამოკიდებულება, რომელიც ჰქონდა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან, მათ შორის საქართველოსთან. პირველ ნაბიჯად ამ კულტურული ურთიერთობების განმტკიცებაში ჩაითვლება კულტურის კვირეულის ჩატარება როგორც საქართველოში, ასევე ირანში.

ბ-ნმა ალმოდამ სამახსოვრო საჩუქრები გადასცა საქართველოს კულტურის სამინისტროს მუშაკებს და იმედი გამოთქვა, რომ მათ ურთიერთობებს განამტკიცებს საქართველოს კულტურის სამინისტროს წარმომადგენელთა ვიზიტი ირანში.

სახელმწიფო პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით მოქმედებაში შედის „გამოსაქვეყნებლად აკრძალულ ცნობათა ნუსხა“, რომელიც შეადგინა საიდუმლოებათა დაცვის სახელმწიფო ინსპექციამ. ჩვენი კორესპონდენტი შეხვდა ინსპექციის უფროსს ბატონ გიორგი ნაჭყებიას და ესაუბრა ამ საკითხთან დაკავშირებით.

აქტუალური ინტერვიუ

— რატომ არის აუცილებელი სახელმწიფო საიდუმლოებათა დაცვა?

— საიდუმლოების შენახვა პიროვნებას ღირსებას მატებს, ხოლო სახელმწიფოს — სიმტკიცეს. [illegible] სამშობლოს, სახელმწიფოს საიდუმლოების შენახვა, მისი დაცვა წმინდა პატრიოტული საქმეა. იგი მეტნაკლებად ყველა მოქალაქეს ეხება. აქამდე ჩვენი საიდუმლოს გასაღები სხვის ხელში იყო და ისინი [illegible]. მაგრამ, ახლა, როცა მრავალ დაბრკოლებით [illegible] სუვერენული სახელმწიფოს მშენებლობის გზას. ჩვენი საიდუმლო ჩვენვე უნდა დავიცვათ და შევინახოთ. ამას გადაუდებლად მოითხოვს რესპუბლიკის საშინაო თუ საგარეო ურთიერთობის ინტერესები. ჩვენს ექსტრემალურ ვითარებაში, მით უფრო. ყოვლად დაუშვებელია [illegible] ყველაფერი ერთნაირად [illegible] (არადა, არც თუ იშვიათად, თავის გამორჩენის მიზნით ადგილი აქვს სახელმწიფო საიდუმლოებათა საქვეყნოდ გამოქვეყნებას).

გარდა აღნიშნულისა, პოლიტიკის მიზანი სხვა არაფერია, თუ არა საერთო წონასწორობის მიღწევა. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო საიდუმლოების შენახვა წმინდა პოლიტიკური საკითხია. პოლიტიკა სახელმწიფოს პოლიტიკური ხელმძღვანელობის დონეზე შეიძლება შევადაროთ ჭადრაკის თამაშს. თუ გინდა, პარტია მოიგო, მოწინააღმდეგემ არ უნდა იცოდეს შენი ჩანაფიქრი. წინააღმდეგ შემთხვევაში, თამაში წაგებულია. ამიტომაც, სახელმწიფო საიდუმლოების შენახვა, დაცვა სახელმწიფოს ძირითადი ფუნქციის შემადგენელი ნაწილია. მისი დარღვევის ყოველ შემთხვევას სამშობლოს ღალატის ფასი აქვს და აქამდე არსებულ ყველა სახელმწიფოში ისჯება სისხლის სამართლის წესით.

— რა მნიშვნელობა ენიჭება თქვენი ინსპექციის მიერ შედგენილ ნუსხას?

— საქართველოს სახელმწიფოებრიობის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში საიდუმლოებაზე, ნუსხის სახით პირველად გამოვიდა დოკუმენტი, რომელიც გამომდინარეობს ეროვნული ინტერესებიდან და აქვს დევიზი „საქართველოს სახელმწიფო საიდუმლოება — საქართველოს ხელში“.

ნუსხა შემუშავდა დაინტერესებულ, ანუ საიდუმლოებათა მფლობელ სამინისტროებთან, უწყებებთან, ორგანიზაციებთან შეთანხმებით. ნუსხაში შესულია იმ ცნობების დასახელება, რომელთა გამოქვეყნება (საერთოდ ან ვადაზე ადრე) საზიანოა დამოუკიდებლობის გზაზე დამდგარი ქვეყნისათვის. ნუსხის გამოსვლა და მოქმედებაში შესვლა რეალურ საფუძველს ქმნის პრესის შესახებ კანონის მე-4 მუხლის „ა“ პუნქტის შესასრულებლად — მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიერ სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის უზრუნველსაყოფად.

— თუ საიდუმლო არ არის, (ვიცით, რომ ნუსხას ადევს გრიფი „სამსახურებრივი სარგებლობისათვის“) რა ძირითადი განყოფილებებისაგან შედგება ეს დოკუმენტი?

— მთავარია სამხედრო საიდუმლოება, მით უმეტეს, ამ ექსტრემალურ პირობებში — შეიარაღებული ძალები და ქვეყნის თავდაცვა. იგი შედგება ისეთი აუცილებელი კომპონენტებისაგან, რომლებსაც ყველა ცივილიზებული სახელმწიფო იცავს. ესაა: სამობილიზაციო საკითხები, სამხედრო მშენებლობა, ჯარების დაკომპლექტება, ორგანიზაცია, რაოდენობა, დისლოკაცია, საბრძოლო მზადყოფნის ხარისხი, დისციპლინა, შეიარაღება, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დონე და სხვ. სახელმწიფო საიდუმლოებათა რიგს განეკუთვნება გეოდეზიის, გრავიმეტრიის, კარტოგრაფიის პრობლემები. განყოფილება „მეცნიერება და ტექნიკა“ მოწოდებულია დაიცვას ხელყოფა-გაბაზრებისაგან ერის ინტელექტუალური პოტენციალი. სათანადო ყურადღება ეთმობა მრეწველობის, სასარგებლო წიაღისეულის, ტრანსპორტის ყველა სახეობის, ასევე კავშირგაბმულობის, ფინანსების დარგში საიდუმლოებათა დაცვას. საგარეო პოლიტიკა და საგარეო ეკონომიკური საქმიანობა გარკვეულ დრომდე, გარკვეული კონცეფციის ჩამოყალიბებამდე. მოგეხსენებათ, მეტად მოზომილად, დიპლომატიის სასწორზე აწონილად უნდა გაშუქდეს. ამ დარგში შეზღუდვები ბევრია, მაგრამ ისინი პირობითია. ამდენად, მათი გამოქვეყნება ხდება მხოლოდ საგარეო საქმეთა სამინისტროსა და საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა უწყებათა ხელმძღვანელობის შესაბამისი თანხმობით.

— პრაქტიკულად როგორ ხორციელდება ნუსხის მოთხოვნათა შესრულება?

— მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ოფიციალური მიმართვით ნუსხას მიიღებენ საიდუმლოებათა დაცვის სახინსპექციაში (რუსთაველის პრ. №28). ამავე ინსპექციაში დაინტერესებულ რედაქციებს, გამომცემლობებს და ორგანიზაციებს გაეწევათ კონსულტაციები სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის საკითხებში. აუცილებლობის შემთხვევაში ინსპექცია დაეხმარება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს დასაბეჭდად (გადასაცემად) მასალების მომზადებაში, წინასწარი წაკითხვით და რჩევით.

— თუ ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, მასალის გამოქვეყნება აუცილებელია, მაგრამ ის შეიცავს ნუსხით აკრძალულ ცნობებს, მაშინ სად არის გამოსავალი?

— ნუსხის შეზღუდვები არ ვრცელდება იმ ცნობებზე, რომლებიც შესულია საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ ოფიციალურ, გამოსაქვეყნებლად გამიზნულ მასალებში, მთავრობის წევრთა საჯარო განცხადებებში, ასევე იმ სამთავრობო დოკუმენტებში, რომელთაც ავრცელებს საქინფორმი. ნუსხაში შესული მთელი რიგი ცნობებისა. არის პირობითად შეზღუდული, ე. ი. მათი გამოქვეყნება ყველა კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება საიდუმლოებათა მფლობელი უწყების, სამინისტროს ნებართვით.

ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტთან არსებულ საიდუმლოებათა დაცვის სახინსპექციას უფლება აქვს გასცეს ნუსხით აკრძალული ისეთი კონკრეტული ცნობების გამოქვეყნების უფლება, რომლებსაც დაკარგული აქვთ საიდუმლოებრივი აქტუალობა და რომელთა გამოქვეყნება ნაკარნახევია აუცილებლობით.

ძნელი ზაფხული...

ეს გოგო-ბიჭები ზაფხულის ხვატს გაქცევიან და წყნეთში საქტრანსმშენის ტრესტის დასასვენებელ სახლ „მზიურში“ ისვენებენ. აქ ყველაფერს ღონობენ იმისათვის, რომ ყმაწვილებმა შინაარსიანად, ხალისიანად დაისვენონ. ეწყობა ლაშქრობები, დისკოთეკები, პოეზიის საღამოები. დასასვენებელი სახლი 20 აგვისტომდე იმუშავებს, ამასობაში აქ მრავალი ყმაწვილი დაისვენებს. სურათებზეც კარგად ჩანს, თუ როგორ გუნება-განწყობილებაზე არიან ნორჩი დამსვენებლები. ამაზე როდი ირჯება „მზიურის“ დირექტორი იაკობ ბარამიძე და მთელი კოლექტივი.

თითქმის ყოველდღე იმატებს სიცხე, ახლა აგარაკზე ყოფნას რა სჯობს.

თედო ნიკოლაიშვილის ტექსტი და ფოტო.

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკისა“ და საქინფორმის კორესპონდენტები

ამ დღეებში

მოვლენა • ფაქტი • კომენტარი

ქართული ფილმის პრემიერა ისრაელში

ეს ფილმი ისრაელში ბატონ ედუარდ შევარდნაძის ვიზიტთან დაკავშირებით უნდა ეჩვენებინათ. მაგრამ, როგორც ცნობილია, საქართველოში შექმნილი სიტუაციის გამო ეს ვიზიტი ჯერჯერობით ვერ შედგა. ისრაელის ტელევიზიამ კი გადაწყვიტა აღარ მოეცადა და ფილმი მაყურებლისათვის წარედგინა.

კინოკონცერნ „ქართული ფილმის“ კინოსტუდია „I“-ში გადაღებულ დოკუმენტურ ფილმს „შევარდნაძის ხანის თეატრი“ (ავტორები ნინო ნატროშვილი, ნიკოლოზ დრონდოვი, ლერი მინაშვილი) წინასწარ გაზეთებში გაუკეთდა რეკლამა, ხოლო შემდეგ დაეთმო საუკეთესო საეთერო დრო, ძირითადი საინფორმაციო პროგრამის შემდეგ, როცა, ფაქტობრივად, მთელი ისრაელი მიჯაჭვულია ტელეეკრანს. ყოველივე ამან კიდევ უფრო გაზარდა ინტერესი ფილმის მიმართ.

— ბატონ შევარდნაძის მიმართ ინტერესი და სიმპათია ყოველთვის მეტად დიდი იყო აქ, — უთხრა ისრაელის რადიოს ჟურნალისტმა მარინე შარაშიძემ თბილისელ კოლეგებს ტელეფონით საუბრისას, — ამასთან კითხულობენ, როგორ მოხდა, გორბაჩოვთან ერთად ასეთი რევოლუციური გარდაქმნების ავტორი, წარსულში კომუნისტური პარტიის ლიდერთაგანი რომ იყო. ფილმში მათ მიიღეს პასუხი ამ და სხვა შეკითხვებზე. მოისმინა ბევრი აქამდე კამათის გამომწვევი კითხვა.

რაც შეეხება ბატონ ედუარდ შევარდნაძის ვიზიტს ისრაელში, აქ ამის იმედს არ კარგავენ, — იგი შედგება. მას მოელიან გულწრფელად და ინტერესით.

ლინა გიორგაძე.

ერთი დირექტორი და... 326 პატრონი

ბორჯომის № 2 ჩამომსხმელ ქარხანას ამიერიდან ჰყავს ერთი დირექტორი და... 326 პატრონი. სწორედ ამდენმა კაცმა საარენდო ხელშეკრულებით გამოისყიდა ჩამომსხმელი ქარხანა და ჩამოაყალიბა სააქციონერო საზოგადოება „თორი“, რომელმაც თავის თავზე აიღო არა მარტო მინერალური წყლის ჩამოსხმა, არამედ აგრეთვე პოლიეთილენის წარმოებაც.

— სულ მალე, — გვითხრა ქარხნის დირექტორმა თამაზ კურტანიძემ, — საკუთარი სტამბა გვექნება და ოფსეტურ ბეჭდვასაც დავიწყებთ. ჩვენი წარმომადგენლები სტავროპოლისა და კრასნოდარის მხარეში იმყოფებიან და თუ იქ მზესუმზირის დიდი პარტიების შესყიდვა მოხერხდა, ჩვენსავე საწარმოში მზესუმზირის ზეთის გამოხდასაც შევუდგებით.

კოლექტივში იმედიანი განწყობილებაა, გასტუმრებულია ვალები, დაფარულია გრძელვადიანი სესხები.

დამთავრდა ახალი საამქროს მშენებლობა და შეუდგნენ იტალიური ავტომატური ხაზის დამონტაჟება-გაშვებას.

ხაზის წარმადობა საათში 24 ათასი ბოთლია.

გურამ ვაშაკიძე.

კავკასიაში—პირველად

ბიოლოგი-ნადირობისმცოდნე იშვიათი და მეტად საჭირო სპეციალობაა. ამ დარგის სპეციალისტები ესაჭიროება როგორც უშუალოდ მონადირეთა კავშირის სისტემას, ისე სამონადირეო მეურნეობებს, ნაკრძალებს, ეროვნულ პარკებს, მწვანეთა მოძრაობას, ბუნების დაცვის სამსახურს, და ასე გასინჯეთ, საჯარისო ფორმირებებსაც კი. მოკლედ, ნადირობისმცოდნე ყველგანაა საჭირო! საქართველოში სულ თითო-ოროლა სპეციალისტია, რომელსაც ნადირობისმცოდნის კვალიფიკაცია გააჩნია. საქმე ის არის, რომ ყოფილ საბჭოთა კავშირში სულ ორი უმაღლესი სასწავლებელი, რომელიც ციმბირის ზონაში — კიროვსა და ირკუტსკში მდებარეობს, ამზადებდა ამ სპეციალობის კვალიფიციურ კადრებს, იქ გამგზავრება დაკავშირებული იყო დიდ სიძნელეებთან, მძიმე მატერიალურ ხარჯებთან და, საერთოდ, მკაცრად იყო შეზღუდული. სპეციალისტები კი საქართველოს ძალიან სჭირდება!

და აი, საქართველოს მონადირეთა კავშირის — „მონკავშირის“ პრეზიდიუმის ხელმძღვანელის, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის რევაზ ჟორდანიას მეცადინეობის შედეგად, ბიოლოგიური მედიცინისა და ეკოლოგიის ინსტიტუტს (ფასიან უმაღლეს სასწავლებელს) ნება მიეცა ახალგაზრდა სპეციალისტთა კადრების მომზადებისა — ნადირობისმცოდნეობაში, კავკასიაში პირველად!

სწავლება ოთხწლიანი იქნება, შემუშავებულია საინტერესო სასწავლო გეგმა, დაზუსტებულია საგანთა ნუსხა, რომლებსაც გაუძღვებიან დარგის წამყვანი სპეციალისტები — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტები — ი. ელიავა და ბ. ყურაშვილი, პროფესორები — გ. მჭედლიძე, მ. ცარციძე, ნ. ფორაქიშვილი და სხვები. „მონკავშირის“ პრეზიდიუმის გამოცდილი მუშაკები. ჩასაბარებელია მხოლოდ ორი გამოცდა: ბიოლოგიასა და ქიმიაში (ორივე ზეპირი), რომლებიც ჩატარდება 16-20 აგვისტოს.

იმედი მაქვს, რომ ქართველი ახალგაზრდობა სიამოვნებით მიაშურებს ბიოლოგიური მედიცინის და ეკოლოგიის ინსტიტუტს, რომელიც განლაგებულია ჭიჭინაძის ქუჩაზე № 3-ში, კოლეჯის შენობაში (4, 11, 18 ნომრების ტროლეიბუსების ბოლოსწინა გაჩერება). ერთნაირი ქულების მიღების შემთხვევაში, პრივილეგია ბიჭებს მიეცემა, თუმცა გოგონებიცაა საჭირო. გელით და მზადა ვართ, რომ ხელი შეგიწყოთ ახალი, საინტერესო სპეციალობის — ნადირობისმცოდნეობის დაუფლებაში!

რევაზ ჟორდანია,
პროფესორი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.

ეპიდემია თავიდან რომ ავიცილოთ

„ქოლერის“ დიაგნოზით მოათავსეს თბილისის ერთ-ერთ კლინიკაში საზღვარგარეთიდან დაბრუნებული ქალბატონი. დღეს იგი თავს ნორმალურად გრძნობს. მაგრამ, ამ სენის საშიშროების გათვალისწინებით, ტურისტი ქალი საავადმყოფოში დატოვეს გულმოდგინე გამოკვლევისა და მკურნალობის შემდგომი კურსის გავლისთვის.

ახლა მედიკოსებმა გულდასმით უნდა გამოიკვლიონ თბილისში, ქუთაისში, ფოთში მცხოვრებ ტურისტთა მთელი ჯგუფი, აგრეთვე მათი კონტაქტები. ისინი შეიძლება აღმოჩნდნენ მძიმე დაავადების მატარებლები!

— დროულად განხორციელებული ღონისძიებები საშუალებას მოგვცემს თავიდან ავიცილოთ ინფექციის გავრცელება, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს იური გოლდმანს მთავარმა სახელმწიფო სანიტარიულმა ექიმმა, საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარი სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სამმართველოს უფროსმა ნიკოლოზ შავდიამ. — და, მაინც, უნდა ვიყოთ ფხიზლად, გამოვიჩინოთ დიდი სიფრთხილე. უკანასკნელ ხანს ხომ ქოლერის დაავადების კერები აღინიშნებოდა საქართველოს მეზობელ ზოგიერთ ქვეყანაში. არ შეიძლება გამოვრიცხოთ ჩვენს რესპუბლიკაში მისი შემოღწევის შემთხვევებიც.

ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან შეიქმნა სპეციალური შტაბი, ამოქმედებულია ინფექციის გავრცელების თავიდან აცილების საჭირო ღონისძიებათა მთელი კომპლექსი. რესპუბლიკაში არის მედიკამენტებისა და სადეზინფექციო საშუალებათა საკმარისი მარაგი ქოლერის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლის, დაავადების კერების წარმოქმნის შემთხვევაში მათი ლოკალიზებისთვის.

მაგრამ მარტო სამედიცინო ღონისძიებათა განხორციელება არ კმარა. საჭიროა, რომ შესაბამისმა სამინისტროებმა და უწყებებმა, ორგანიზაციებმა მკვეთრად გააძლიერონ კონტროლი წყალსატევების, სასმელი წყლისა და წყალსადენი ქსელის მდგომარეობის, კვების ობიექტებში, სასურსათო მაღაზიებში ყველა საჭირო სანიტარიული ნორმის დაცვისადმი. დღეს კვლავ მწვავე პრობლემად რჩება რესპუბლიკის ქალაქებისა და სოფლების სანიტარიული მდგომარეობა, რომელთაგან მრავალი პირდაპირ წალეკა ნაგავმა. ეს კი ინფექციის წარმოშობის, თაგვებისა და ვირთაგვების მომრავლების კერაა, რომლებმაც შეიძლება გაავრცელონ მძიმე ინფექციური დაავადებანი.

და კიდევ: საჭიროა ნიადაგ ვადევნოთ თვალყური პირად ჰიგიენას, საცხოვრებელი ბინის სისუფთავეს. გირჩევთ სვათ ადუღებული წყალი, ეს განსაკუთრებით ეხება იმათ, ვინც სარგებლობს ღია წყალსატევების წყლით. იმათ კი, ვინც საზღვარგარეთის ქვეყნებში მიემგზავრება, განსაკუთრებული სიფრთხილე უნდა გამოიჩინონ საკვებისა და სასმელი წყლის მიღებისას.

ზარალდება გამყიდველიც, მყიდველიც

გასულ შაბათ-კვირას თელავის ბაზარზე ფასებმა ერთბაშად აიწია. მიზეზი? — პარასკევს, ნაშუადღევს სამხედროფორმიანმა ახალგაზრდებმა სოფელ ყარაჯალის ერთ-ერთ მკვიდრს მუქარითა და გინებით ორი კილო კიტრი წაართვეს, ისეც არ იკმარეს, სროლა ატეხეს, იარაღის ტარი თავში ჩაარტყეს უდანაშაულო ქალს. ბაზარი აიშალა, ქალი საავადმყოფოში მოათავსეს. შემდგომ დღეებში ყარაჯალელებმა უარი თქვეს ბაზარში პროდუქციის მოტანაზე. არადა სწორედ ისინი არიან ბოსტნეულის ძირითადი მომყვანები რაიონში. იმედია, დამნაშავეებს გამოავლენენ და სათანადოდ დასჯიან. ერთი კი ნათელია, — ბაზარი კარგა ხანია გადაიქცა დანაშაულებრივ ქმედებათა კერად და აქ წესრიგის დამყარებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

ზურაბ არსენიშვილი.

ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი იუწყება, რომ გარდაიცვალა კავშირის კახეთის სამხარეო გაერთიანების ლაგოდეხის რეგიონალური ორგანიზაციის წევრი

გიორგი ძანაშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

სკბ
„მა-ბანკი“

თქვენ გპირდებით თანხა გადაირიცხვით ?!

კომერციული ბანკი „მა-ბანკი“ აწარმოებს ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან ამერიკული დოლარების, რუსული მანეთებისა და სხვა ვალუტის ყიდვა-გაყიდვის სათანადო თანხების თქვენს ანგარიშსწორების ანგარიშებზე 24 საათის განმავლობაში ჩარიცხვით.

ჩვენი მისამართია: ქ. თბილისი, 380062, ჭავჭავაძის პრ. 39ა

ტელეფონი: 294976,
221519
ფაქსი: (8832) 294976

საშუამავლო-კომერციული ფირმა
«რენესანსი»

დაგეხმარებათ ინტერიერის კომფორტულად მოწყობაში. იმპორტული ავეჯის, რადიოტელეაპარატურის და სხვა საჭირო ნივთების შეძენა-გაყიდვაში.
ფირმა ეფექტური და უსაფრთხო მომსახურების გარანტიას იძლევა.

ჩვენი მისამართია: სულხან-საბას ქ.№ 4
ტელეფონი: 93-52-63, 23-58-55 (საღამოს).

კ. ბესკოვი თბილისში არ ჩამოვა

მოსკოვი, 5 აგვისტო. (საქინფორმის კორ. თენგიზ პაჭკორია). მოსკოვის პოპულარულმა გაზეთმა „სპორტ-ექსპრესმა“ გამოაქვეყნა თბილისელი ჟურნალისტის მამუკა კვარაცხელიას მასალა, რომელიც ეძღვნება საქართველოში ფეხბურთის ჩემპიონატს. მასში, კერძოდ, ნათქვამია, რომ თბილისის „დინამოს“ ტექნიკურ დირექტორს ვაჟა ჟვანიას ჰქონდა მოლაპარაკება ცნობილ მწვრთნელთან კონსტანტინე ბესკოვთან და უნდოდა იგი მოეწვია დინამოელთა გუნდის მთავარ მწვრთნელად.

რას ფიქრობს ამის თაობაზე თავად კ. ბესკოვი? „სპორტ-ექსპრესის“ რედაქცია დაუკავშირდა მას და სთხოვა გამოეთქვა აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით:

„მოსკოვიდან არსად წასვლა არ მსურს, — თქვა მან. — თბილისის „დინამოს“ გარდა ბევრი წინადადება მივიღე საზღვარგარეთიდან. მაგრამ სამოცდათორმეტი წლის ასაკში სავსებით მაკმაყოფილებს ის, რასაც ახლა ვაკეთებ — ვმუშაობ მოსკოვის რამდენიმე მოყვარული გუნდის კონსულტანტად“.

როგორც პასუხიდან ჩანს, ბესკოვი არ ღალატობს თავის თავს. რაც შეეხება თბილისის „დინამოს“, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ უბესკოვოდ და სხვა ცნობილი მწვრთნელების გარეშეც ახლანდელ ფეხბურთელთა და მწვრთნელთა შემადგენლობა მაქსიმალურად ნაყოფიერად მოემზადება ევროპის ჩემპიონთა თასზე მატჩებისათვის.

თბილისის „დინამოს“ თამაშის თაყვანისმცემლებს, რომლებიც საკმაოდ არიან მოსკოვში და რუსეთის სხვა ქალაქებში, აინტერესებთ ერთი რამ: გადაიცემა თუ არა 18 აგვისტოს ტელეკომპანია „ოსტანკინოს“ პირველი პროგრამით ან რუსეთის არხით თბილისის „დინამოს“ და ბელფასტის „ლინფილდის“ (ჩრდილოეთ ირლანდია) მატჩის ტელეტრანსლაცია. მოსკოველები იმედოვნებენ, რომ თავიანთი ტელევიზორების ეკრანებზე იხილავენ ქართველი ფეხბურთელების ტექნიკურ, თავისებურ, გამორჩეულ თამაშს.

წამყვან პოზიციებზე

ინდონეზიის დედაქალაქ ჯაკარტაში დასასრულს მიუახლოვდა მოჭადრაკე ქალთა მსოფლიოს შემდგომი ჩემპიონატის საზონათაშორისო ტურნირი, რომელსაც ტონს სახელოვანი ქართველი დიდოსტატები აძლევენ.

8 ტურის შემდეგ 6-6 ქულით დაწინაურდნენ მაია ჩიბურდანიძე და ქეთევან არახამია. მათ ნახევარი ქულით ჩამორჩება ნინო გურიელი. საერთაშორისო ოსტატმა ნინო ხურციძემ ჯერჯერობით 4 ქულა მოაგროვა.

ფინიშამდე დარჩა 5 ტური.

უხეშობა სტარტზე

ფეხბურთელთა მეხუთე ეროვნული ჩემპიონატის პირველი ტურის დასკვნითი შეხვედრა აღმოსავლეთ ზონაში გამართეს თბილისის „მრეტებმა“ და გორის „დილამ“.

86-ე წუთზე ხუხუას მიერ გატანილმა ერთადერთმა გოლმა გამარჯვება თბილისელებს მოუტანა.

მატჩის არბიტრს — სურამელ ლაცაბიძეს მეტისმეტად ემოციურ მეტოქეთა დასამშვიდებლად 6 (!) ყვითელი ბარათის ჩვენება მოუხდა.

ქართველები უცხოეთში

მაინის ფრანკფურტში მოთამაშე ქართველი ფეხბურთელის კახი ცხადაძის გუნდმა „აინტრახტმა“ გერმანიის ჩემპიონატის პირველი ტურის მატჩი სტუმრად მოუგო მიონხენგლადბახის „ბორუსიას“ — 4:0.

იმავე დღეს წარმატებით იასპარეზა კიდევ ერთი ჩვენი ლეგიონერის — გია გურულის კლუბმა „ჰავრმა“, რომელმაც საფრანგეთის პირველობის მესამე ტურში გასვლაზე ქულა მოიპოვა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა ლიგის ჩემპიონთან — „მარსელთან“ — 1:1.

მხატვრობა

გზის დასაწყისთან

ამ დღეებში თბილისის ძველ უბანში, ქარვასლის ერთ-ერთ დარბაზში გაიხსნა ახალგაზრდა მხატვრების შორენა დარსაძის, ზაალ და ზურაბ სულაკაურების, მიხეილ ყანდარელისა და მიშა მეგრელიშვილის ჯგუფური გამოფენა. თითოეულ მათგანს ათი-ოცდათმეტი ნამუშევარი (ძირითადად ფერწერა) აქვს წარმოდგენილი დამთვალიერებელთა სამსჯავროზე. გამოფენა უჩვეულო მრავალფეროვნებით ხასიათდება—პეიზაჟები, ნატურმორტები, აბსტრაქტული კომპოზიციები მნახველს წარმოდგენას უქმნიან დამწყებ ხელოვანთა მხატვრულ ინტერესებზე, ხედვებზე, ესთეტიკურ იდეალებზე.

კარგად აღნიშნა ვერნისაჟზე ხელოვნებათმცოდნე დავით ანდრიაძემ: „არაპროფესიული იქნება ჩვენი მხრიდან, რომ ამ გამოფენის ანალიზი და კრიტიკული განსჯა დავიწყოთ, ჩვენ მხოლოდ ვეცნობით დამწყებ მხატვრებს, რომლებიც პროფესიული ანბანის შემდეგ პირველ საფეხურს იწყებენ. [illegible] ჯერ დგომა უნდა ისწავლონ, მერე სირბილი, ისინი გზის დასაწყისთან დგანან და [illegible] ვულოცავთ“.

ჩვენც ვუერთდებით ამ განწყობილებას და გამოფენის მონაწილე ყოველ ავტორს სამომავლოდ ვუსურვებთ საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურ გაშლა-გამოვლენას დიდ ხელოვნებაში.

მაია მღებრიშვილი.

მთავარი რედაქტორი გურამ ბოგიაშვილი.

მისამართი, 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს“ საგაზეთო კორპუსს, თბილისი, ხოშარაულის 29.
ტელეფონი — 34-78-45.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0488.

SAKARTVELOS RESPUBLIKA
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА